საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 5 მაისი, 2015 წელი.

№81 (7726)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

◎ ექო „20/30“-დან

ივანიშვილის აზრით, პრეზიდენტი ისევ გაუგებრობაში რჩება

2

ეს ქვეყანა მართლა შენდება თუ მართლა ინგრევა?!



5

საქართველოს შევარდნები

ეძღვნება ყველა ქართველ ფრონტელ მფრინავს

8-9

სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის სპიკერს შეხვდა

3

ჩვენ მართლაც ერთად ვქმნით ტელევიზია „ქართულს“!..

ოფშორული ზონები – სამოთხე „რუხი კაპიტალისთვის“

4

დეოფშორიზაციაზე ზრუნვა უკვე მრავალ ქვეყანაში დაიწყეს

გარდაიცვალა დიდი მაესტრო

ცნობილი ქართველი კინორეჟისორი **რეზო ჩხეიძე** გარდაიცვალა. ბოლო პერიოდში სახელგანთქმული რეჟისორი მძიმედ იყო ავად და საავადმყოფოში აპარატზე იყო მიერთებული.



რეზო ჩხეიძე დაიბადა საბჭოთა რეჟიმის მიერ 1937 წელს დახვრეტილი ცნობილი მწერლის დავით ჩხეიძის ოჯახში. 1943-1946 წლებში სწავლობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, 1953 წელს დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (ს. იუტკევიჩისა და მ. რომის სახელოსნო). რეჟისორ თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაიღო კინონარკვევები: „ჩვენი სასახლე“ (1953), „ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ (1954) და მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“ (1955; კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი — „ოქროს რტო“ და I პრემია ედინბურგის X საერთაშორისო კინოფესტივალზე, ორივე 1956).

გადაიღო მხატვრული ფილმები: „ჩვენი ეზო“ (1956, ოქროს მედალი, I პრემია და დიპლომი მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე 1957), „მაია წყნეთელი“ (1959), „განძი“ (1961; დიდი პრიზი დელის II საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1961), „ზღვის ბილიკი“ (1962), „ჯარისკაცის მამა“ (1964, პრემია კორკში (ირლანდია) X საერთაშორისო კინოფესტივალზე, დიპლომი სანფრანცისკოსა და სალონიკის საერთაშორისო კინოფესტივალებზე, პრიზი რომის II საერთაშორისო კინოფესტივალზე ოთხივე 1965), „ღიმილის ბიჭები“ (1969, საქართველოს კომკავშირის პრემია „ჯარისკაცის მამასთან“ ერთად, 1970), „ნერგები“ (1972); დიპლომი მოსკოვისა და ტაშკენტის საერთაშორისო კინოფესტივალებზე (ორივე 1973), „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ (1980; მთავარი პრიზი და დიპლომი ვილნიუსის XIV საკავშირო კინოფესტივალზე, 1981; ლენინური პრემია (1986; 1991 — უარი განაცხადა) და სხვა.

რეზო ჩხეიძე იყო ყოფილი სსრკ უმაღლესი საბჭოს IX-XI მოწვევების დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ორი სხვა ორდენითა და მედლებით. 1963-1981 წლებში — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი. 1974 წლიდან — რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი. იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი.

პრეზიდენტმა რეზო ჩხეიძის ოჯახს თანადგომა გამოუცხადა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი რეჟისორ რეზო ჩხეიძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტი სამძიმრის წერილს ავრცელებს და რეჟისორის ოჯახს თანადგომას უცხადებს.

„გული დამწყვიტა ცნობამ დიდი რეჟისორის რეზო ჩხეიძის გარდაცვალების შესახებ. ბატონი რეზოს განუმეორებელი ხელწერით შექმნილი, ღრმა ჰუმანიზმით განმსჭვალული ფილმები, დაუვიწყარი სახეები და ისტორიები მსოფლიო კინოკლასიკის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. კლასიკოსი რეჟისორის შემოქმედებამ შორს გაუთქვა სახელი ჩვენ ქვეყანას და მის მდიდარ კულტურას. ამ მძიმე წუთებში ბატონი რეზოს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად ვწუხვარ ამ დიდ დანაკლისს და თანადგომას ვუცხადებ მათ“, — ნათქვამია პრეზიდენტის სამძიმრის წერილში.

პრემიერ-მინისტრის სამძიმარი ლეგენდარული რეჟისორის გარდაცვალების გამო

„მწუხარებას გამოვთქვამ დიდი რეჟისორის ბატონი რეზო ჩხეიძის გარდაცვალების გამო. რეზო ჩხეიძის შემოქმედებას, მის ნიჭიერებას მსოფლიო იცნობს. ჩვენთვის ის განსაკუთრებით ძვირფასი და საამაყო ადამიანი იყო. ბატონმა რეზომ დაგვიტოვა არაერთი კინოშედევრი და შექმნა დაუვიწყარი სახეები. ერთხელ ვისაც უნახავს მისი „ჯარისკაცის მამა“, შეუძლებელია მისი შემოქმედების თანაზიარი არ გამხდარიყო.

სამწუხაროა, რომ წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული კინოს ფენომენის შექმნაში და თავისი კვალი დაამჩნია თითოეული ჩვენგანის სულს. ვუსამძიმრებ ბატონი რეზოს ოჯახს, ახლობლებს, მთელ საქართველოს. ჩემი დავალებით შეიქმნება რეზო ჩხეიძის დამკრძალავი სახელმწიფო კომისია და დაკრძალვის ხარჯებს დაფარავს მთავრობა“, — ნათქვამია პრემიერის სამძიმრის წერილში.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ექო „20/30“-დან

ივანიშვილის აზრით, პრეზიდენტი ისევ გაუგებრობაში რჩება

თავდაცვის **მინისტრად თინა ხიდაშელის დანიშვნას ბიძინა ივანიშვილი მიესალმება. „კულუარული მმართველის“ აზრი კი, როგორც ყოველთვის, საზოგადოებისთვის საინტერესოა. აქედან გამომდინარე, საპარლამენტო უმრავლესობაც, სავარაუდოდ, ერთხმად დაუჭერს მხარს თინა ხიდაშელის კანდიდატურას, ოღონდ, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი წარადგენს მას...**

„GDS“-ის გადაცემა „20/30“-ში ყველა საინტერესო საკითხზე გაკეთდა კომენტარი და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ამ მნიშვნელოვან თემებზეც საკუთარი აზრი გამოთქვა: **„ხიდაშელის დანიშვნა კარგი პრეცედენტია ბევრი მნიშვნელობით. თუნდაც ის, რომ ქალბატონია. ევროპაში ამის მაგალითი იყო და კარგია, რომ ეს საქართველომაც მოახერხა. ჩვენც ამ კუთხით ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანა ვართ. ამით ევროპულობას ვუსვამთ ხაზს და იმას, რომ ჩვენ ჩვენს ოჯახში ვაპირებთ დაბრუნებას“,** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. მისი აზრით, მთავრობაში განხორციელებული ცვლილებებიც ნორმალური პროცესია. არაფერია იმაში გასაკვირი, თუ მინისტრი ჯანმრთელობის გაუარესების გამო წავიდა თანამდებობიდან: **„უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა ლევან ყიფიანმა. ელემენტარული უთანხმოება მოუვიდა თავისი გუნდის წევრებთან და ღირსეული ნაბიჯიც გადადგა. ცდილობენ, ამას დამატებითი აჟიოტაჟი შესძინონ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი პროცესია. ნაციონალური მოძრაობის დროს მსგავსი პროცესები პარლამენტთან არ თანხმდებოდა. ახლა კი პარლამენტმა უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება“,** — დასძინა ივანიშვილმა. მან პარლამენტის მუშაობის ის წლები გაიხსენა, როცა პრაქტიკულად ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებდა და მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცემულ ახირებებს აფორმებდა. ეს ნორმა კი 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებმა შეცვალა.

„პარლამენტს პარლამენტის სახე არ ჰქონდა. დღევანდელი პარლამენტი ამ მხრივ პრინციპულად განსხვავებულია, იქ მიდის დებატები, მიდის კამათი. შეიძლება ხარისხი და პროფესიონალიზმი იქაც დასახვეწია და მომავალში ამას უნდა ველოდოთ, მაგრამ ძირითადი შეიცვალა. პარლამენტი ნოტარიუსის ფუნქციას აღარ ასრულებს და იქ ძალიან ბევრი პროფესიონალი მუშაობს, დაბალანსებული პარლამენტია“, — განაცხადა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა. სამაგიეროდ, კვლავ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მოქმედი პრეზიდენტი, რომლის ურჩობით ძალიან გაწბილებულია. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ერთ-ერთი „გამორჩეული“ ფიგურა, რომელიც საქართველოს ჰყავს, ეს არის გიორგი მარგველაშვილი.

„ჩვენ უპრეცედენტო პრეზიდენტი გვყავს იმ მხრივ, რომ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს მსგავსი რამ, როდესაც გუნდთან ერთად მოსული პიროვნება მეორე დღესვე გუნდს უპირისპირდება. ამ მხრივ ჩვენმა პრეზიდენტმა ძალიან გამოიჩინა თავი და უახლოესი დღეებიც თუ გახსოვთ, ჩანს, რომ ამ პოლიტიკას აგრძელებს და ისევ აბსურდში რჩება.

რეზიდენციასთან დაკავშირებით ვაპირებ ერთ-ერთ გადაცემაში ძალიან ხანგრძლივად ვისაუბრო, თუ რა ხდებოდა კულისებში და გავიხსენო ის, რაც საზოგადოებამ არ იცის. ამით ვაპირებ დავეხმარო მას, რომ საზოგადოებას ღირსეულად მოემსახუროს და არ დარჩეს გაუგებრობასა და აბსურდში“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მას მხედველობიდან არც წინა ხელისუფლება გამორჩენია: **„ის, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიის დომინირებაა ქვეყანაში, ეს უნდა აღვნიშნოთ, მათი იდეოლოგია არის სიცრუე და სიცრუის პროპაგანდა. ესეც ეხება ყველა სფეროს. დავიწყოთ არასამთავრობოებით. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს ნაწილი განვითარდეს, რამეთუ საზოგადოება გახლავთ ძალაუფლების წყარო, მან უნდა განსაზღვროს, რა გვსურს. არასამთავრობოების ძირითადი ნაწილი აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს. თუმცა, ყველაზე დიდი ნაწილი, რომლებმაც მოახერხეს და ლიდერები გახდნენ, კარგი მაგალითია ამისა. „არასამთავრობოების ყველაზე აქტიური ნაწილი, რომლებიც წამყვანებად მოიაზრებიან, მაგალითად, ეკა გიგაური. ისინი ცდილობენ, ისევ ნებსით თუ უნებლიედ, სიცრუის ტირაჟირებას. ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირს გამორიცხავენ, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა კი არ არის მნიშვნელოვანი, მთავარია, საზოგადოება არ დააბნიონ. ვერც გიგაურმა და ვერც კოჟორიძემ არგუმენტები ვერ მოიტანეს და ვერ უპასუხეს კითხვებს. ეს ფონს აფუჭებს და ასეთი ადამიანები, რომლებიც ობიექტურად წარმოდგებიან, ძალიან აზიანებენ იმ სექტორს, სადაც ისინი თანამშრომლობენ. ამ შემთხვევში არასამთავრობოებს ვგულისხმობ“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი აზრით, საყდრისი და „პანორამა თბილისის პროექტი“ ერთი და იმავე იდეოლოგიის მსხვერპლია: „საყდრისის თემა ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდისტული მანქანის შედეგია, მე ასე დავარქმევდი. რამეთუ, მათ მოახერხეს ძალიან ბევრი ობიექტური ადამიანის დაბნევაც. იგივე რობიკო სტურუამ გააკეთა განცხადება და კიდევ სხვა ჩვენი საზოგადოების ღირსეულმა წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადებები. მათი დაბნევაც კი მოახერხეს, იმ დონეზე ასწიეს ეს თემა. საყდრისი და პანორამა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ერთი და იგი იდეოლოგიის მსხვერპლია ორივე. ეს არ უნდა აშენდეს და ის აშენებული როგორმე უნდა გაჩერდეს, რამეთუ ნაციონალური მოძრაობა არალეგალურად ცდილობს დაანგრიოს ქვეყანა, გაჩერდეს ეკონომიკა და ამ ფონზე მათ თავი გადაირჩინონ.

მიტინგები პანორამასა და საყდრისზე ნაციონალური მოძრაობის ორგანიზებულია. ასეთი მაღაროები მე ბევრი მახსოვს სვანეთში. როდესაც საყდრისის ასაკზე საუბრობენ, ჩემი აზრით, ბევრს აჭარბებენ. ჩვენ არ გვჭირდება არავითარი ცრუ კულტურა, ჩვენ გვაქვს ისეთი კულტურის ძეგლები, ისეთი ისტორია გაგვაჩნია, რომ არაფერი გადაჭარბებული არ გვჭირდება“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„საზოგადოება 20/30“-ის დამფუძნებელმა, ოპოზიციური პარტიების მუშაობა შეაფასა და აღნიშნა, რომ პოლიტიკურ სპექტრში არსებული თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია ქვეყნის ოპოზიციაში იმყოფება: **„ოპოზიცია ძირითადად ქვეყნის ოპოზიციაშია. მათი ძირითადი მესიჯია ის, რომ ქვეყნის მთავარი პრობლემაა ივანიშვილი, ალასანიას გუნდმაც ძალიან კარგად გააჟღერა ეს, მთელი ოპოზიცია პრაქტიკულად იმავეს ამბობს და პრეზიდენტიც, როდესაც მან ვერ უპასუხა შეკითხვას, უნდა ხარჯავდეს თუ არა პრეზიდენტი ზედმეტად 6 მილიონს, აქაც გამოჩნდა ისე, რომ ის იცავს ჩემგან მოქალაქეებს. პრაქტიკულად, პრეზიდენტმაც აჩვენა, რომ ძირითადი პრობლემა ქვეყნისა ვარ მე. მან თავისი განცხადებებით გააფორმა ის, რომ ოპოზიციურად არის განწყობილი იმ ძალებისადმი, ვინც მას პრეზიდენტად დადგომაში დაეხმარა.“** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

გადაცემაში „20/30“-ში სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მხრივ საქართველო ტოლერანტობით გამოირჩევა.

„საქართველო ტოლერანტობის იდეალური მაგალითია. მაიდანზე თუ გახვალთ, იქ ნახავთ გვერდიგვერდ მეჩეთს, ნახავთ მართლმადიდებელ, კათოლიკურ, სომხურ ეკლესიებს, მეჩეთს და, რა თქმა უნდა, სინაგოგას.

ჩვენ ძალიან გვიყვარს ჩვენი მრწამსი და ვინც აფასებს თავის რელიგიას, ის სხვის აღმსარებლობასაც პატივს სცემს. ჩვენ გენეტიკურად ვიცით და გენეტიკაში გვიდევს ეს ყველაფერი. ძალიან საამაყოა, რომ საქართველოში არ არსებობს ამ მხრივ დისკრედიტაცია, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე არ ააგორებს ამას ხელოვნურად. მოსაზრება, რომ თითქოს ჩვენ შეუწყნარებლები ვართ სხვა რელიგიების მიმართ, მცდარია! ამის ყველაზე კარგი მაგალითი ჩვენი ისტორიაა.

ჩვენ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი ევროპისგან, მაგრამ, რაც შეეხება რელიგიურ საკითხს, შესაძლოა, ევროპამაც ძალიან ბევრი ისწავლოს ჩვენგან. ჩვენ ძალიან დიდ პატივს ვცემთ ყველა განსხვავებულ რელიგიას“, — განაცხადა ივანიშვილმა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გადაცემა „კვირის 20/30“-ში საზოგადოებაში ეკლესიის როლზე და საქართველოს პატრიარქზე ილია მეორეზე ისაუბრა. **„ნახეთ პატრიარქის ნებისმიერი ეპისტოლე... პატრიარქი ნებისმიერ თემაზე ახერხებს საზოგადოების გაძღოლას. ძალიან ბევრ მინიშნებას აკეთებს და ძალიან ბევრ სასარგებლო რჩევას იძლევა. ჩვენ გვყავს ძალიან საყვარელი და, რაც მთავარია, ძალიან ბრძენი პატრიარქი. გვაქვს ეს ფუფუნება. მისი უწმინდესობა ნამდვილად გახლავთ ბრძენი და მისი მინიშნებები საზოგადოების განვითარებაზე მრავალმხრივია. ეკლესიის როლი საზოგადოებაში ძალიან დიდია. ეკლესია ყველაზე რთულ პერიოდში, თუ გნებავთ უახლოესი ცხრა წლის განმავლობაშიც ძალიან ბევრ გაჭირვებულს დაეხმარა. არ იმსახურებს არც პატრიარქი და არც ჩვენი ეკლესია და კულტურა იმას, რომ ამ თემაზე საუბარი გვეშინოდეს. ეკლესიაში არაფერი ხდება ისეთი, რაზეც ჩვენ პასუხს ვერ გაგვცემენ.“**

ბიძინა ივანიშვილმა „კვირის 20/30“-ის დასასრულ 2014 წლის შედეგები შეაჯამა და მათ შორის მედიაზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, მედიაში და ჟურნალისტიკაში პროფესიონალების ნაკლებობა იგრძნობა. **„პროფესიონალები ყველა მიმართულებით გვაკლია, მათ შორის, ჟურნალისტიკაშიც. თუ გვსურს, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, მედია ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია ამისთვის და მის განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ“,** — დასძინა მან.

თეა მოსია

◎ ინფორმაცია

მე, ალბათ, უფრო ხშირად გამოვჩნდები მედიასთან, ვიდრე ბატონი მინდია

ამის **შესახებ პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნულმა თავდაცვის ახალმა მინისტრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა.**

ხიდაშელი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ თავდაცვის უწყების საგარეო ორიენტირების შესახებ ხშირად ისმოდა კითხვები, ხოლო თინა ხიდაშელის დანიშვნით ყველა ამ კითხვას პასუხი გაეცა.

„მინდია ჯანელიძე არსად წასულა, რაც ადასტურებს იმას, რომ არავითარი მსგავსი კითხვები არ არსებობს. ის დაბრუნდა ძალიან მნიშვნელოვან სამსახურში — უსაფრთხოების და კრიზისების საბჭოში ხელმძღვანელად, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში უნდა ვიმუშავოთ. როგორ წარმოგიდგენიათ, რაიმე ეჭვები რომ არსებობდეს ამ თვალსაზრისით, მაშინ ეს ურთიერთობა როგორ უნდა განვითარდეს? ერთ-ერთი პირველი შეხვედრა მე სწორედ მინდიასთან მქონდა ზუსტად იმიტომ, რომ არანაირი ასეთი ეჭვებისთვის საფუძველიც კი არ არსებობს. შეიძლება, ვიღაცა მედიასთან უფრო ხშირად ჩნდება და ვიღაცა — ნაკლებად. თუ ამაშია პრობლემა, გარწმუნებთ, რომ მე, ალბათ, უფრო ხშირად გამოვჩნდები, ვიდრე ბატონი მინდია ჩანდა, მაგრამ ეს არაფერზე არ მეტყველებს ორიენტაციასთან, კურსთან, თავდაცვის სამინისტროს დამოკიდებულებებთან და პოლიტიკურ სტრატეგიასთან დაკავშირებით. კატეგორიულად უარს ვაცხადებ ამ ტიპის მსჯელობაზე და ამას დაგიდასტურებთ შემდეგი კვირების და თვეების განმავლობაში, როდესაც თქვენ ნახავთ, რა ინტენსიურად გვექნება ჩვენ ურთიერთობა“, — **განაცხადა თინა ხიდაშელმა.**

◎ ერისა და ბერის საყურადღებოდ!

ჩვენ მართლაც ერთად ვქმნით ტელევიზია „ქართულს“!..

სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში „ქართული ერთობის დარბაზის“ ტრადიციული დისკუსიის „საქართველო დაჭრილი მზეა“ ფარგლებში, სააქციო საზოგადოება „ქართულის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა, ბატონებმა რამაზ ლომინაძემ, როლანდ კილაძემ და ირაკლი მაჭავარიანმა ტელეკომპანია „ქართულის“ აქციების შეძენის დამადასტურებელი მოწმობები გადასცეს ცნობილ სპორტსმენსა და საზოგადო მოღვაწეს რომან რურუას, მეცნიერ ნესტან შონიას, გერმანიის უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრს, ბატონ შალვა წიკლაურს და პენსიონერ ნოდარ მანჩხავას.

„ჩვენ ამ უდიდეს ტაძარში დიდი ქართული დისკუსიის „საქართველო დაჭრილი მზეა“ მიმდინარეობის დროს, უდიდეს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საქმეში – ქართული სულის ტელევიზიის შექმნის საქმეში ფინანსური მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გადაცემას ვიწყებთ,“ – აღნიშნა კონფლიქტოლოგმა ირაკლი მაჭავარიანმა. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბატონმა რომან რურუამ – 60, ქალბატონმა ნესტან შონიამ – 20, ბატონმა შალვა წიკლაურმა – 5 აქცია შეიძინეს, მაგრამ მართლაც ამაღელვებელია ბატონი ნოდარ მანჩხავას გადაწყვეტილება, რომელმაც კუთვნილი პენსიის 150 ლარიდან 50 ლარით ერთი აქცია შეიძინა.

ბატონმა რომან რურუამ აღნიშნა, რომ არავის გვილხინს დღეს საქართველოში, ზედმეტი ფული კი არა, არსებობისათვის საჭირო თანხის მოპოვებაც კი გვიჭირს, მაგრამ დღეს, **როცა საქართველოს საინფორმაციო სივრცე ქართული აღარ არის, მეტიც, ებრძვის საქართველოს, ის რომ ცალკეულ პოლიტიკოსთა, პოლიტიკურ პარტიათა პრიმიტიული აზროვნების აგიტპუნქტებად იქცნენ ტელევიზიები, ქართული სულის ტელევიზიის შექმნა მართლაც საშური საქმეა...**

„პირდაპირ ვამბობ, – განაგრძო ბატონმა რომან რურუამ – ამის გარეშე არც მომავლის საქართველო გვექნება და ვერც უკეთესად ვიცხოვრებთ, ტყუილებით შეფუთული გენოციდის მსხვერპლი გავხდებით. შემაძრწუნა იმ საუბარმა, რაც გორში მოვისმინე, როცა უცხო ქვეყნების „ერთგული ელჩები“ არად დაგიდევენ არც ხალხის განწყობას, არც არჩეული საკრებულოს გადაწყვეტილებას და ეს არც ვიცით საქართველოში. ამაზე საუბარი არც „რუსთავი-2“-ს და სამწუხაროდ, ბევრ სხვა ე.წ. ტელევიზიებს, მათ შორის, ბიუჯეტიდან ჩვენი ფულით ფინანსირებად ტელევიზიებსაც არ აწყობთ“.

პენსიონერმა ნოდარ მანჩხავამ ყველასათვის დამაფიქრებლად თქვა: „ჩემთვის ეს 50 ლარი ბევრზე ბევრს ნიშნავს, მაგრამ საქართველოს დაცვა გაცილებით მეტს, საქართველოს და ქართული ცნობიერებისთვის ბრძოლის გარეშე – ჩემი ქვეყნის წარსულის და მომავლის მოღალატე ვიქნები“.

„ვფიქრობ, ეს დიდი ნიშანია საქართველოს მომავალზე მოფიქრალი ყოველი ქართველისათვის, საქართველოს ნებისმიერი შვილისთვის, საქართველოს ნამდვილი მეგობრებისთვის, მიუხედავად იმისა, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, განსაკუთრებით კი ბიზნესმენებისთვის, – აღნიშნა თავის გამოსვლაში დიდმა ხელოვანმა, „ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებელმა ომარ მხეიძემ. მას ეჭვი არ ეპარება, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც ამ ერთი წლის განმავლობაში მიიღო ბატონი რეზო ჩხეიძის წერილი, ან „ქართული ერთობის დარბაზის დამფუძნებლების“, ჩემი და ჩემი მეგობრების ბატონების: ანზორ ერქომაიშვილის, გივი თოიძის, ტარიელ ხარხელაურის, თემურ გუგუშვილის, არნოლდ გეგეჭკორის, რომან რურუას, რამაზ ყურაშვილის ხელმოწერით მიიღებენ უახლოეს მომავალში – შემოუერთდებიან ამ დიდ ქართულ საქმეს.

პროფესორ რამაზ ლომინაძეს მიაჩნია, რომ გავა დრო და თითოეული ჩვენგანი ვიამაყებთ, იამაყებს ჩვენი შთამომავლობა, რომ ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, ჩვენ დავუდექით ამ დიდ ქართულ საქმეს. მანვე მოიწონა ბატონი რეზო ჩხეიძის წინადადება, რომ შეიქმნას წიგნი-ისტორია, როგორ გაგვაერთიანა „მოქმედების მანიფესტმა“ და როგორ იქმნება ტელევიზია „ქართული“, ვინ როგორ მონაწილეობდა ამ საქმეში. რომ გამოქვეყნდეს სია იმ ადამიანებისა, რომელთაც ცნობილ მოღვაწეთა სახელით ეთხოვათ მონაწილეობა ამ ეროვნულ საქმეში.

ამას პრინციპულად თვლის ბატონი რომან რურუაც, რომელმაც გულისტკივილით გაიხსენა ქართული ერთობის დამფუძნებელთა მიერ ხელმოწერილი „მოქმედების მანიფესტის“ ერთი უაღრესად დამაფიქრებელი ჩანაწერი: **„რაც არ გვაკლია დღევანდელ საქართველოში, ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახურნი, გარედან მართული პარტიები, მინისტრები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საინფორმაციო საშუალებები, რაც არნახულად გვაკლია - ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების, ხალხის მსახური საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო მოხელეები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებანი“.**

შეკრების მონაწილეებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ პირველთ, ანუ **სხვათა მსახურთ** გულუხვად აფინანსებენ გარედანაც, შიგნიდანაც, ხელისუფალნიც და ბიზნესმენებიც, მაშინ როცა, მეორენი, ანუ **ქართული სულის მატარებელნი,** სულს ღაფავენ. ეს ტრაგედიაა, ითქვა ამ შეკრებაზე და იმის იმედიც გამოითქვა, რომ ყოველგვარ ქართულს ქართველი მეწარმეები მაინც დაუდგებიან გვერდით, რადგან მათზე ქვეყნის გარედან შეტევა მიდის და ებრძვიან ქვეყნის გარედან მართული სახელისუფლებო და პოლიტიკური წრეები, საინფორმაციო საშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

შეკრების მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს „ქართული ერთობის დარბაზის“ მთავარი დოკუმენტის „მოქმედების მანიფესტის“ – **ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“** მნიშვნელობა დღევანდელი საქართველოსთვის. გამოკვეთილად თქვეს, რომ ამ საქმეში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ქართული სულისა და ცნობიერების ტელევიზიას.

გაიხსენეს ტელევიზია „ქართულის“ სათავეებთან მდგომი ლეგენდარული რეჟისორის, მშვიდობის მსოფლიო ელჩის და „ქართული ერთობის დარბაზის“ თავმჯდომარის, ბატონი რეზო ჩხეიძის სიტყვები:

„ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენ ძალიან მალე, ბევრზე ბევრნი გავხდებით და ასეთი დიდი ერთსულოვნებით შექმნილი ტელევიზია, მართლაც უნიკალური ფაქტი იქნება მსოფლიო სატელევიზიო სივრცეში“.

„ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებლებმა და „ქართულის“ საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს, რომ თვეში ერთხელ მოეწყოს აქციების შეძენის დამადასტურებელი მოწმობების გადაცემა. ნიშანდობლივია, რომ შემდგომი შეხვედრა შედგება 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

„ქართული ერთობის დარბაზის“ პრეს-ცენტრი.

რედაქციისგან: დიდად სამწუხაროა, რომ „ქართული ერთობის დარბაზის“ თავმჯდომარე, ერის საამაყო შვილი რევაზ ჩხეიძე გუშინ გარდაიცვალა! ღვაწლმოსილი რეჟისორი და დიდი ერ ოვნული მოღვაწე ზეციურ საქართველოს შეუერთდა. აქ, მის სათაყვანებელ საქართველოში კი, ღვთის ნებით და განგებით, აუცილებლად გაგრძელდება ის საქმე, რომლის წამომწყები თვით დიდი ერისკაცი იყო!..

პრეზიდენტის რჩეულები უზენაეს სასამართლოში

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ორ ვაკანტურ ადგილზე პრეზიდენტის მიერ შერჩეული კანდიდატურები პარლამენტის ბიუროს გუშინ წარედგინა.

გიორგი მარგველაშვილი კანონმდებლებს უზენაეს სასამართლოში ასარჩევად მზია თოდუასა და ეკა გასიტაშვილის კანდიდატურებს სთავაზობს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, ისევე, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს პარლამენტი პრეზიდენტის წარდგინებით 10 წლის ვადით ირჩევს.

სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის სპიკერს შეხვდა

ე.წ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პარლამენტის სპიკერს ანატოლი ბიბილოვს სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ გალუსტ სააკიანმა უმასპინძლა. შეხვედრა გასულ კვირას მთიან ყარაბაღში გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას სამხრეთ ოსეთის ე.წ პარლამენტის ვებგვერდი ავრცელებს.

მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. მოლაპარაკებების დროს ბიბილოვმა და სააკიანმა ოსმალეთის იმპერიის დროს 1915 წელს სომხების გენოციდის შესახებაც ისაუბრეს.

„როგორც სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ოსი ხალხი, რომელიც საქართველოს მხრიდან გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდა, იზიარებს სომეხი ხალხის ტკივილს“, – წერია ე.წ. პარლამენტის ვებგვერდზე.

ბიბილოვის თქმით, სომხებსა და ოსებს შორის კავშირები საუკუნეებია არსებობს, ხოლო მას შემდეგ რაც მთიანმა ყარაბაღმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მთიან ყარაბაღსა და სამხრეთ ოსეთს შორის დიპლომატიური კავშირები ჩამოყალიბდა. ამას გარდა, ბიბილოვის განცხადებით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სომხები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ და ისინი მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენენ.

„საქართველოს მხრიდან აგრესიის დროს კი სომხები სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ოსების გვერდით იბრძოდნენ“, – წერია ცხინვალის დე ფაქტო უწყების ვებგვერდზე.

ანატოლი ბიბილოვის ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა მთიან ყარაბაღში 3 მაისს გამართული ეროვნული ასამბლეის ე.წ არჩევნებში სომეხი დამკვირვებლების მონაწილეობის შესახებაც ისაუბრეს. შეხვედრის ბოლოს ბიბილოვი და სააკიანი შეთანხმდნენ, რომ იმუშავებენ ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

* * *

საქართველოს ელჩი სომხეთში თენგიზ შარმანაშვილი სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს სერგეი მანასარიანს შეხვდა. როგორც თენგიზ შარმანაშვილმა საუბარში განაცხადა, შეხვედრაზე სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარისა და ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრის ფაქტის გამო ქართული მხარის უკიდურესი შეშფოთება დააფიქსირა.

„მან განმარტა, რომ მსგავსი ქმედებები სრულად ეწინააღმდეგება ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური, პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობების სულისკვეთებას.

თავის მხრივ სერგეი მანასარიანმა აღნიშნა, რომ ისინი ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ცალსახა მხარდაჭერას და მწუხარებას გამოთქვამენ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით“.

როგორც თენგიზ შარმანაშვილმა აღნიშნა, ცხინვალის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარის მიწვევა სომხეთის ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან არ მომხდარა.

„ჩვენი ინფორმაციით, მისი მიწვევა მოხდა მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან“, – განაცხადა შარმანაშვილმა.

მისივე თქმით, როგორც შეხვედრაზე უთხრეს, სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ამ შეხვედრის შესახებ ცნობილი პოსტფაქტუმ გახდა.

ორი წლის მანძილზე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისგან ერთადერთი რასაც ვიღებდი, მადლობა იყო

ორი წელი ვიმუშავე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორთან და ძალიან კონსტრუქციულად და ერთადერთი რასაც ვიღებდი ხელნაწერთა ცენტრისგან, ეს იყო მადლობა, – ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების კომენტირებისას განაცხადა.

2012 წლამდე ცენტრი მუშაობდა 275 ათას ლარიანი ბიუჯეტით, არ ჰქონდათ ელემენტარული საშუალება, რომ რამე გაეკეთებინათ და ჩვენ ეს გავაკეთეთ“.

მისივე თქმით, ერთადერთი, შეიცვალა ის, რომ ამ ორგანიზაციაში შევიდა აუდიტის სამსახური.

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა აღნიშნა, 2012 წლამდე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ყურადღებას არ აქცევდნენ.

„საცავების მოწესრიგება დავიწყეთ. პროგრამების დაფინანსება დავიწყეთ. ასევე გავზარდეთ დაფინანსება. ყველანაირად ხელი შევუწყვეთ და ამის ინიციატორი, პირველ რიგში, ვიყავი მე, როდესაც ვთქვი, რომ არ შეიძლება ცენტრი ფუნქციონირებდეს ასეთ პირობებში და ამას სჭირდება შესაბამისი შენობა და შესაბამისი ხელშეწყობა. ყოველივე ამ სამუშაოს მერე მე სხვა ახსნა-განმარტება არ მაქვს, გარდა იმისა, რომ მას უნდა თავისი პიროვნების წინ წამოწევა და გაიგივება ხელნაწერებთან. საბოლოო ჯამში, თქვენ გადახედეთ წინა პერიოდებს და ნახავთ, რომ ეს არ არის პირველი მცდელობა“, – განაცხადა სანიკიძემ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ბუბა კუდავას შესახებ.

მისივე თქმით, ამ შემთხვევაში რეაგირება მიდის კანონის, მორალის, ყველანაირი წესების დაცვით.

განათლების მინისტრის თქმით, სიცრუეა ის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი განათლების მინისტრმა თანამდებობიდან მოხსნა.

ოფშორული ზონები – სამოთხე „რუხი კაპიტალისთვის“

დეოფშორიზაციაზე ზრუნვა უკვე მრავალ ქვეყანაში დაიწყეს

„ოფშორი“ ინგლისური სიტყვაა და „სანაპიროდან დაშორებულს“, „იზოლირებულს“ ნიშნავს. ჩვენს სინამდვილეში კი, ეს სიტყვა ერთგვარი იდუმალებით არის მოცული. ეს შეხედულება წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა, რადგან არაერთი ოფშორული კომპანია მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა და მათ უკან ქართველი მაღალჩინოსნები, ან მათი ახლობლები იდგნენ. ასეთი ფაქტები ახლაც არის, ამიტომ საქართველოში ოფშორულ კომპანიებს დღემდე ეჭვის თვალით უყურებენ, მათზე ინფორმაციის მოპოვება კი პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ოფიციალური სტრუქტურები ამ მონაცემებს არ ახმაურებენ. ბოლო წლებში საქართველოდან კაპიტალი გავიდა და შემოვიდა კვიპროსში, შვეიცარიაში, ლიხტენშტაინში, ასევე – პანამასა და ჩეხეთში.

თავის დროზე ოფშორული კომპანიის მფლობელებს შორის აღმოჩნდნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და ბევრი ყოფილი მაღალჩინოსანი, განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობიდან – მათ შორის, დავით კეზერაშვილი და გია უდესიანი. ექსპერტთა აზრით, დღეს-დღეობით „თელასიც“ ოფშორულ რეჟიმში მუშაობს, „სოკარიც“ და სხვა ენერგეტიკული კომპანიებიც. უფრო ხშირად კი, ოფშორული კომპანიის მეპატრონის დადგენა ვერ ხერხდება, რადგან ოფშორული ზონა ბოლომდე უზრუნველყოფს ფირმის მფლობელთა სრულ ანონიმურობას. სწორედ ეს იზიდავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედ კომპანიებს, თუმცა, უკვე მრავალ ქვეყანაში ზრუნავენ, რომ ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების საქმიანობა უფრო გამჭვირვალე გახდეს: მაგალითად, რუსეთის ხელისუფლებამ დეოფშორიზაციის პოლიტიკა აირჩია და დაიწყო ზრუნვა, რომ ოფშორული კაპიტალი ქვეყანაში დააგროვოს, ხოლო კაიმანის კუნძულებზე მოღვაწე კომპანიებს ევალებათ, მათი დირექტორებისა და ერთი აქციონერის ვინაობა მაინც გაამხილონ. ამ გზით ევროპა ცდილობს იმ ბიზნესმენების ძებნის გაიოლებას, რომლებიც გადასახადების გადახდას თავს არიდებენ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

ეკონომიკის ექსპერტი **გია ხუხაშვილი** მიიჩნევს, რომ ოფშორულ ზონებში ხშირად მართლაც საეჭვო წარმოშობის ფული მიედინება. მან bpn.ge-სთან საუბრისას აღნიშნა:

– ოფშორული კომპანიების ერთი ნაწილის მიზანია, საგადასახადო შეღავათები მიიღონ – ეს არის ერთი მიმართულება, მაგრამ არანაკლებ გავრცელებულია ისეთი კომპანიები, რომლებსაც უნდათ ფულის ფარულად ინვესტირება, ან რეინვესტირება. ეს არის, ფაქტობრივად, ქართული კაპიტალი, რომელიც ისეთი ადამიანების კაპიტალია, რომლებსაც ამ ფულის წარმომავლობის დადასტურება არ შეუძლიათ. რბილად რომ ვთქვათ, ეს არის „რუხი კაპიტალი“. თუ ერთ შემთხვევაში ეს პრობლემა არ გახლავთ, მეორე შემთხვევაში, ამ ყველაფრის უკან ან წარსულში ჩადენილი დანაშაული დევს, ან – აწმყოსა და მომავალში დაგეგმილი. ამიტომ, ზოგიერთ ქვეყანაში დეოფშორიზაციაზე ზრუნვა უკვე დაიწყეს. როგორც წესი, თავისი შემოსავლის დადასტურება არ შეუძლია იმას, ვისაც ეს შემოსავალი არა შრომით, არამედ სხვა გზებით აქვს მოპოვებული, ასეთები კი ძირითადად ყოფილი, ან მოქმედი ჩინოვნიკები არიან, ან ის ადამიანები, რომლებიც არალეგალურ ბიზნესსაქმიანობას ეწეოდნენ, აქედან გამომდინარე, კაპიტალი, რომელიც ოფშორების მეშვეობით მოძრაობს, განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ უნდა იყოს. არ მინდა კონკრეტული კომპანიების დასახელება, მაგრამ ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც საქართველოში რეზიდენტად რეგისტრირებულ კომპანიას, რომელსაც აქ არანაირი ქონება არა აქვს, ასობით მილიონის გადასახადი დაუმალავს და ისე გამქრალა, რომ მისი კვალიც ვერ უპოვიათ. მათ წარმომადგენლებს პრეტენზიასაც ვერ წავუყენებთ იმიტომ, რომ მათი ამ კომპანიასთან დამოკიდებულების დამტკიცება იურიდიულად საკმაოდ რთულია. მე არ ვამბობ, რომ ოფშორული კომპანიები ეკონომიკას უნდა ჩამოვაშოროთ, მაგრამ ისინი ყოველთვის განსაკუთრებული შესწავლის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ალბათ მათ საქმიანობაში უფრო მეტი გამჭვირვალობაა საჭირო. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, მედიადამფუძნებლებს მოსთხოვეს, მათი საქმიანობა ბოლომდე გამჭვირვალე იყოს იმიტომ, რომ საინფორმაციო პოლიტიკის უკან შეიძლება, ძალიან ბნელი ძალები აღმოჩნდნენ. თუ მედიასაშუალებებში ასეთი გაუმჭვირვალე სუბიექტები მოხვდება, ეს ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს. ამიტომაც მიიღეს კანონი, რომ ოფშორებში რეგისტრირებულ კომპანიებს არა აქვთ უფლება, გახდნენ ტელემედიის დამფუძნებლები. ეს ძალიან ფაქიზი საკითხებია, ხშირად მსოფლიოში კაპიტალი ოფშორული კომპანიების საშუალებით მოძრაობს, ამიტომ ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ოფშორიდან ფულის შემოსვლა, ან გადინება არ შეიცავს პოლიტიკურ, ან კრიმინალურ რისკებს. ნორმალურ კაპიტალს აუცილებლად უნდა მივცეთ ოპერირების საშუალება, საეჭვოს კი შესაბამისად მოვექცეთ.

– რამდენად სარისკოა საქართველოში ოფშორული კომპანიების არსებობა? – ამ შეკითხვით ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის ხელმძღვანელს **რამაზ გერლიანს** მივმართეთ:

– გამომდინარე იქიდან, რომ ოფშორული ზონა მსოფლიოში ბევრია, მათ შესახებ ინფორმაციაც არ არის ხელმისაწვდომი. არავინ იცის, რამდენი კომპანიაა რეგისტრირებული ამ ოფშორულ ზონებში, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს: სეიშელისა და ვირჯინიის კუნძულები, პანამა, კაიმანის კუნძულები, სინგაპური, ბერმუდის კუნძულები, თუ სხვა... მოკლედ ასეთი ოფშორული ნავსაყუდელი ბევრ ქვეყანაშია, საითკენაც შეუწყვეტლივ მიედინება ფინანსები. ხშირ შემთხვევაში ოლიგარქები და ბიზნესმენები დამალულ ფულს ინახავენ ასეთ ადგილებში. ხშირად იქ ისეთი კომპანიები მოქმედებენ, რომელთა შესახებაც ინფორმაცია არ არსებობს, რადგან ოფშორებში მოქმედებს კანონი საბანკო საიდუმლოების შესახებ, რომელიც კლიენტების საიდუმლოს ბოლომდე იცავს და არ ამხელს.

თუმცა რამაზ გერლიანს მიაჩნია, რომ ეს ჩვენი ქვეყნისთვის ნაკლებად პრობლემური საკითხია:

– მე მგონი, ეს საფრთხე უფრო იმ ქვეყნებს ემუქრება, სადაც ეკონომიკური თავისუფლების დონე ძალიან დაბალ დონეზეა. შესაბამისად, საბიუჯეტო, თუ არასაბიუჯეტო თანხები ოფშორში გაედინება, რომ შემდეგ სადმე განთავსდეს. სამწუხაროდ, ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიების საქმიანობა გამჭვირვალე არ არის. ჩემი აზრით, უნდა ვიცოდეთ მათი შვილობილი კომპანიის სახელი, ან თუნდაც ერთი დამფუძნებელი მაინც. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მათი ვინაობა გარკვეული დოზით მაინც უნდა გამჟღავნდეს. რაც შეეხება საბანკო საიდუმლოს, ის აუცილებლად უნდა იყოს დაცული, რომ ვიღაც პირებმა ბოროტად არ გამოიყენონ. უმეტესწილად ისეთ ქვეყნებს შეექმნათ პრობლემა ოფშორულ ზონებში ფინანსების გადატანით, სადაც ფინანსური თავისუფლება არ იყო. ეს ქვეყნები ძალიან დაზარალდნენ. თუ ეკონომიკური თავისუფლება მაღალია, თუ ბიზნესს ხელისშემშლელი ფაქტორები არა აქვს, ის ოფშორებში არ გადაინაცვლებს. იქ, სადაც რეგულაციები მკაცრდება, ბიზნესი ტოვებს ქვეყანას და თავს აფარებს ოფშორულ ზონას, სადაც მისთვის სასათბურე პირობებია და უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. თუ საქართველოში ასეთი გარემო შეიქმნება, ამ ფულმა შეიძლება ჩვენთან მოიყაროს თავი. ამ ზონებში ასობით ტრილიონია დაბანდებული და აქედან 0,01%-იც რომ მოვიზიდოთ, ეს დიდი შეღავათი იქნება ჩვენთვის. სხვათა შორის, ოფშორებთან ურთიერთობის კარგ მაგალითს იძლევა ჩინეთი, რომელიც დიდი ეკონომიკური თავისუფლებით არ გამოირჩევა და ამ ქვეყნის ფული ძირითადად ოფშორებში ტრიალებს – იქ, სადაც მას უფრო მეტი უკუგების მოტანა შეუძლია. ეს დიდი ქვეყანა სულდგმულობს იმით, რომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებსა და ოფშორებში აბანდებს ფულს, მერე ამ თანხას უკან იბრუნებს და თავისი მოსახლეობისთვის იყენებს. საქართველოშიც არის ოფშორში რეგისტრირებული კომპანიები, რომლებიც სხვადასხვა საინვესტიციო პროექტში მონაწილეობენ, ასეთი 2 კომპანია მონაწილეობს მაგალითად ანაკლიის პორტის მშენებლობაში. იქ 7 კომპანიიდან ორის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ, რადგან ორივე ოფშორშია რეგისტრირებული. ბიზნესი მიიწევს იქ, სადაც მინიმალური გადასახადებია და საბანკო საიდუმლოებაც დაცულია. ნაკლებად თავისუფალი ქვეყნებიდან კი, მარტო ოლიგარქების კი არა, ბიზნესმენების ფულიც კი გაედინება ოფშორში. ასე რომ, თუ კანონს არ არღვევს და ოფიციალურად მოქმედებს, ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. აუცილებელი არ არის, რომ, რადგან ოფშორიდანაა, ჩრდილოვან საქმიანობას ეწეოდეს. შეიძლება კომპანია არ იყოს ოფშორში დარეგისტრირებული, მაგრამ გადასახადები მაინც დამალოს. მთავარია, გადასახადის გადამხდელი ქართულ იურისდიქციაში მოექცეს და მისი საქმიანობა გამჭვირვალე იყოს.

ხათუნა ჩიგოგიძე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები:

2014 წელს ნიდერლანდებიდან საქართველოში 331 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, ლუქსემბურგიდან - 85 მილიონი, პანამიდან - 61 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო მალტიდან – 38 მილიონი დოლარი. რაც შეეხება 2014 წლის მეოთხე კვარტალის მონაცემებს, ასე გამოიყურება: ნიდერლანდები – 67 მილიონი აშშ დოლარი, პანამა – 17 მლნ დოლარი, ლუქსემბურგი – 14 მლნ დოლარი, თუმცა, ძნელია ითქვას, რა წილი შეიტანეს ამ მონაცემებში ოფშორულმა ზონებმა, რადგან ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია.

◎ კაკალ გულში

წეჩილოვანი ოჩაზები

● ჩემო კარგო ქვეყანავ, ჩვენი როა, ის მომავალი, არა და აღარ დადგა, კაცო?

● ნამეტანი მოინდომა პრეზიდენტმა, ერთი კვირა იფიქრეთო, სად შეუძლიათ ამდენი, ამათ ერთი კვირა რომ იფიქრონ, „პრაკლადკა“ დაეწვებათ და „ჟიდკოსტიც“ გაასხამს!

● აყვავილდნენ ვაშლები და მსხლები,
და ღრუბლებიც გაყვნენ მდინარეს.
გამოვიდა ნაპირზე თინიკო,
მაღალ, დამრეც ნაპირზე!

● მოაშორეთ ეს ქადაგიძე, სანამ პურზე კეისით ჩავსულვართ!

● ბოლო ხანს, რამდენჯერაც პარლამენტის სხდომას გადავაწყდი, 15-20 კაცზე მეტი არ ზის დარბაზში. მაგდენი და მაგაზე მეტი, კ/თ „თანამგზავრშიც“ ეტეოდა და რაღაზე ვაწვალებთ ამ მეფისტოლა ხალხს აქეთ-იქით წანწალით?!

● ღმერთო, იმდენს არ მიმაღწევინო, გია ჯაჯანიძე ჩემით დაინტერესდეს და თავისთან მიმიწვიოს!

● ახლა ქუცნაშვილია საშიში, მაგან არ აიწყვიტოს კონსტუტუციაზე აქვს მწვავე რეაქცია,რეზიდენციის კარს თუ მიადგა კონსტიტუციით ხელჩამოურთმეველ მარჯვენაში!

● ახლა ნორლანდის ზეწოლას თუ გაუძლო გიორგი მარგველაშვილმა და თავისი გაიტანა, მისი ლეგიტიმაციის მიმართ კითხვები აღარ გაჩნდება და საერთოდ კოლონიური სტატუსიდან გამოსვლის პირველი ნაბიჯი იქნება საქართველოთვისIII ბიძინამ და ღარიბაშვილმა ეს ვერ გაქაჩეს, პირველმა აშშ-ში ფულის განთავსების გამო ალბათ, მეორემ კი მისი ბიძინასთან დაქვემდებარებული ურთიერთობის გამო. ახლა ამანაც თუ ვერ ივარგა, კოლონია ვართ დიდი ხნით!

● ბანკის დამყაჩაღებლები დაკავებულნი არიანო, განაცხადა ნინო გიორგობიანმა.
ბანკებისგან დაყაჩაღებულებს თუ ეშველათ რამე?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ეს ქვეყანა მართლა შენდება თუ მართლა ინგრევა?!

ეს სათაური წერილისთვის შემთხვევით არ დამირქმევია. ადრე ნაცებისა და ახლა კიდევ ქოცების ხელში ტყუილ-მართალი ისე აირია და აიზილა ერთმანეთში, რომ კაცი ვეღარ გაიგებს, ჩვენი ბედკრული ქვეყანა მართლა შენდება თუ მართლა ინგრევა?! ისედაც არ გვქონდა დალაგებული ცხოვრება და ლარის ბოლოდროინდელმა რეკორდულმა გაუფასურებამ ქვეყნის მოსახლეობის სიღატაკესა და გაუბედურებულ ყოფას ხელი საბოლოოდ მოუთავა.

ამას სათავისოდ იყენებენ ნაცები, რომლებიც ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას ღარიბაშვილის მთავრობის უუნარობითა და ოლიგარქ ივანიშვილის კულისებიდან მართვის კრახით ხსნიან. ყველამ დავინახეთ, რომ მთავრობამ ჩამოშალა ეკონომიკა, ლარი გააუფასურა, გაუსაძლის სიღარიბესა და გასაჭირში ჩააგდო მოსახლეობა, — აცხადებენ ისინი და ავიწყდებათ, რის შემოქმედნი იყვნენ თავად. მადლობა ღმერთს, ნაცების პოპულისტური რეფორმებითა და ზღაპრებით ეკონომიკის მართვის პერიოდი დამთავრდა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა საკაშვილი და მისი ბანდა ატერორებდნენ, წეწავდნენ ბიზნესს, ნოტარიუსებს მალულად აფორმებინებდნენ მეწარმეთათვის წართმეულ ქონებას, ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ იმისათვის, რომ ფული ეშოვათ და ბიუჯეტი შეევსოთ, წლების მანძილზე იღებდნენ მილიარდიან ვალებს, მაგრამ მას არასოდეს იყენებდნენ ეკონომიკის რეალურ სექტორში, სადაც რეალური დოვლათი იქმნება და დასაქმების დიდი რეზერვებია. ამიტომაც რჩებოდა პასუხგაუცემელი კითხვა: რატომ შიმშილობდა ხალხი, თუკი ეკონომიკა რეალურად იზრდებოდა?

ეს კითხვა არ მოხსნილა დღესაც და მას პასუხი ამჯერად მეოცნებე ხელისუფლებამ უნდა გასცეს. გასაგებია, რომ ნაცბანდა სასხვისოდ კი არა, სათავისოდ, საკუთარი კეთილდღეობისა და ფუფუნებისათვის ირჯებოდა ასე თავდაუზოგავად ეკონომიკის ციფრობრივი მაჩვენებლების მოჩვენებითი ზრდისთვის (წლიური ზრდა 8-12 პროცენტს აღწევდა!), მაგრამ ხალხის არჩევანით მოსულ კოალიციურ ხელისუფლებასაც ვითომ სათავისო ანგარება (ხელისუფლებისა და პრემია-დანამატების ზრდა) ამოძრავებს?

არა და არა! ხელისუფლებიდან გარეკილმა ნაცებმა ყურები რომ გამოგვიჭედეს — ჩვენ საქმეს ვაკეთებდით, იმიტომ მოვგდიოდა შეცდომები, ესენი (ქოცები), ჩვენგან განსხვავებით, უსაქმურები, უქნარები, უნიათოები, ქვეშაფსიები არიან და ქვეყანა იმიტომ ჩამოეშალათო, თურმე ყველაფერი ეს ყურით მოთრეული ტყუილი ყოფილა. ჭორი და პროვოკაცია ყოფილა, რომ ქოცების ორწლიანი მმართველობის პერიოდში საქართველო ერთ ადგილზე გაიყინა, ეკონომიკა აღარ იძვრის, ინვესტორები გაიქცნენ, ხალხი კი, რომელსაც გამდიდრებას ჰპირდებოდნენ, ფაქტობრივად, დაიმშა. **ინვესტორები თუ გაიქცნენ, ჩემო ბატონო, როგორ მოხდა, რომ 2014 წელს ქვეყანაში ინვესტიციების მაჩვენებელმა ბოლო 6 წლის ყველა მაჩვენებელს გადააჭარბა? „საქსტატის“ ოფიციალური ცნობით, საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 2014 წელს 1.272 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34 პროცენტით აღემატება 2013 წლის მონაცემებს.**

წარმატებულია მომდევნო წელიც. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2015 წლის პირველ კვარტალსა და აპრილში გადაჭარბებით შესრულდა საბიუჯეტო შემოსავლების დავალება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ლარის გაცვლით კურსზე საბიუჯეტო პარამეტრების გავლენა ნულის ტოლია. ეს საფუძველს აძლევს მუდამ მხიარულ განწყობაზე მყოფ ქვეყნის პირველ ფინანსისტს ამტკიცოს, რომ ლარის გამუდმებულ დევალვაციასთან დაკავშირებით მთავრობა არაფერ შუაშია და შექმნილი მწვავე სიტუაცია მალე უკეთესობისით შეიცვლება. **ეროვნული ბანკი და მთავრობის ეკონომიკური გუნდი შეთანხმებულად მუშაობენ ამ საკითხზე და იმედი მაქვს, რომ ლარის კურსი სულ მალე დასტაბილურდება, — აცხადებს ნოდარ ხადური. იმედიანად არის ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილიც, რომელიც ფიქრობს, რომ ზაფხულში ბლომად შემოვა ინვესტიციები, ამასობაში საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტებიც გაიყიდება და ლარი გამყარდება.**

ხელისუფლების ოპტიმზმს აორკეცებს ახლახან თბილისში გახსნილი ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლობის ოფისი, რომელიც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პარალელურად სასურველ პირობებს შეუქმნის ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. პრემიერ ღარიბაშვილის შეფასებით, ამით თბილისი იბრუნებს რეგიონული ჰაბის ფუნქციას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბანკის ოფისი იმუშავებს და დაფარავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიას.

როგორც ყოველთვის, ახლაც პოზიტიურად აფასებს კოალიციური მთავრობის მუშაობას ექსპრემიერი **ბიძინა ივანიშვილი,** რომელიც აცხადებს, რომ **2014 წელს საქართველოს ეკონომიკა იყო ყველაზე მზარდი არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელს ევროპაში და ეს გახლავთ არა მისი პირადი აზრი, როგორც ეს ზოგიერთებს ეჩვენებათ, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება.** თუმცა, ამ აზრს არ ეთანხმება საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ფადი ასლი. მას მიაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის შედარებით განვითარებული ევროპული ქვეყნების ეკონომიკებთან და განცხადებით, რომ ჩვენ მათზე უკეთესი ზრდა გვაქვს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს საზოგადოება შეცდომაში შეყავს. ფადი ასლის თქმით, 2014 წელს 50-ზე მეტმა განვითარებადმა ბაზარმა საქართველოს ეკონომიკურ ზრდას გადააჭარბა და სწორედ ამ ქვეყნებს უნდა შეედაროთ და შეევჯიბროთ ეკონომიკის ზრდასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში.

ჭორი და პროვოკაცია ყოფილა, რომ ქოცების ორწლიანი მმართველობის პერიოდში საქართველო ერთ ადგილზე გაიყინა, ეკონომიკა აღარ იძვრის, ინვესტორები გაიქცნენ, ხალხი კი, რომელსაც გამდიდრებას ჰპირდებოდნენ, ფაქტობრივად, დაიმშა. ინვესტორები თუ გაიქცნენ, ჩემო ბატონო, როგორ მოხდა, რომ 2014 წელს ქვეყანაში ინვესტიციების მაჩვენებელმა ბოლო 6 წლის ყველა მაჩვენებელს გადააჭარბა?

ქვეყნის სავალუტო კრიზისთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილი ადრე თუ გულმშვიდად იყო და მიაჩნდა, რომ საგანგაშო არაფერია, ლარი კარგად იქცევა და მალე დასტაბილურდება, ახლა უკვე აღიარებს, რომ ლარმა სახიფათო ნიშნულს მიაღწია. ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი? რა თქმა უნდა, ეროვნული ბანკი, რომელიც, მისი აზრით, არაადეკვატურად იქცევა. **„დღესაც მაქვს ეჭვი, რომ ეროვნული ბანკი არაადეკვატურად იქცევა. დღესაც მაქვს ეჭვები, მაგრამ ჩემი ეჭვები არ არის ერთადერთი და ცალმხრივი. ბევრი ექსპერტი გამოთქვამს ეჭვს“,** — აცხადებს ივანიშვილი. მაგრამ ხომ უნდა გამოიძებნოს ამ ჩიხიდან გამოსავალი? გამოსავალი, მისი აზრით, უნდა იპოვონ შესაბამისმა სტრუქტურებმა და პროფესიონალებმა.

სულ სხვა ჰანგზე „მღერიან“ ნაციონალები, საერთოდ, ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსები, რომელთა აზრით, მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების საკითხის დაყენებამ ნათელი გახადა, რომ ეს მთავრობა უუნაროა და დღემდე ქვეყნისთვის ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებია. დიდი ეკონომიკური და სოციალური ჩავარდნების მიუხედავად, მთავრობა კვლავაც სირაქლემას პოზიციაშია, არ სურს, რეალობას თვალი გაუსწოროს, დაშვებული შეცდომები აღიაროს, კრიზისის დაძლევის კონკურეტული გეგმა წარმოადგინოს და დანგრეული ეკონომიკის ამოსაწევად პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას. ოპოზიციის შეფასებით, თუ პარლამენტი ბიძინა ივანიშვილის მარიონეტულ მთავრობას დამტკიცებს, კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება და ლარის გაუფასურება შეუქცევადი პროცესი გახდება.

ოპოზიცია ოპოზიციაა, მაგრამ თუ საზოგადოების საკმაოდ დიდმა ნაწილმაც საკუთარ ჯიბეზე ვერ იგრძნო „ოცნების“ ორწლიანი ნაღვაწის სიკეთე, ამას რა სახელი დავარქვათ? ან თუნდაც, გნებავთ, იმას, როცა ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში გარემოს დაცვისა და სპორტის მინისტრები იცვლებიან, ხოლო ეკონომიკურ გუნდს ბუზიც არ აფრენია, ამით რისი დამტკიცება გვსურს, რომ მსოფლიოში მართლაც უნიკალური და გამორჩეული ქვეყანა ვართ?

თუმცა, ცალკეულ ექსპერტთა აზრით, ეკონომიკური გუნდის წარმომადგენელთა, საერთოდ, კადრების თემა არ არის მთავარი და გადამწყვეტი. მთავარია, რამდენად ჯანსაღი იქნება სტრუქტურა და მენეჯმენტი. ეკონომიკის ექმინისტრის **მიხეილ ჯიბუტის განმარტებით, ლარმა თუ წითელი ხაზი გადაკვეთა, ეს არ არის მარტო მთავრობის ეკონომიკური გუნდის ან გნებავთ, მარტო ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის საკითხი. ამ შემთხვევაში კომპლექსურად პასუხისმგებელია მთელი მთავრობა. გარე ფაქტორებმა კი იმოქმედა ლარის გაუფასურებაზე, მაგრამ რა გააკეთა ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ეს მწარე რეალობა შეეცვალა? თითქმის არაფერი.** ლარს მე ვადარებ თერმომეტრს, რომელიც მაჩვენებს, რომ ეკონომიკას სიცხე აქვს. მთავრობა მოვალეა, გაარკვიოს, რა მიზეზებმა გამოიწვია ეკონომიკის მაღალი ტემპერატურა და მიიღოს ზომები მის გასაჯანსაღებლად.

თითქმის ამავე აზრისაა პარლამენტარი **დავით ონოფრიშვილი,** რომელიც აცხადებს, რომ ასეთ კრიზისულ ვითარებაში გადამწყვეტია მთავრობის ერთიანი მოქმედება. **მთლიანობაში, მთავრობამ ვერ მოახერხა სავალუტო კრიზისის შესაბამისად ემოქმედა. მთლიანობაში, დღევანდელი ხელისუფლების უმთავრესი პრობლემა ცუდი მმართველობაა, ის დროულად ვერ იღებს გადაწყვეტილებას, სუსტია და სხვადასხვა სახის კრიზისებთან გამკლავება უჭირს.** საქართველო ღია ეკონომიკის პატარა ქვეყანაა და მეტ-ნაკლებად ყოველთვის დამოუკიდებელი იქნება საგარეო შოკებზე და არა „შოკუნიებზე“, როგორც ეს ფინანსთა მინისტრს ჰგონია. მთავრობა მზად უნდა იყოს, ასეთი შოკები აირიდოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს.

აღარ გავაგრძელებ. ზემოთ ნათქვამიდან ისედაც ჩანს, ეს ჩვენი დამაქცევარი ნაცები, მთელი ცხრა წლის მანძილზე როგორი რუდუნებით აშენებდნენ მათთვის სანუკვარ დემოკრატიულ ქვეყანას და ქოცებმა ხელისუფლებაში მოსვლიდან რაღაც ორ წელიწადში თავიანთი უუნარობით, უვიცობითა და უსაქმურობით (ნაცების ცნობილი შეფასებაა), ეს ნალოლიავები ქვეყანა ერთი ხელის მოსმით როგორ იავარქმნეს. მართალია ბიძინა ივანიშვილი პოზიტიურად აფასებს მისი ავტორობით შექმნილი მთავრობის საქმიანობას, ჰგონია, რომ ერთი ჯანმრთელობაშერყეული და მეორე ოჯახმოწყურებული მინისტრის გადადგომა განგაშისა და აჟიოტაჟისთვის არავითარ საფუძველს არ იძლევა, მაგრამ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ყოველი შემთხვევისთვის მაინც სიფრთხილე გამოიჩინა და მისი აზრით ფორსმაჟორში მყოფი მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის პარლამენტში წარდგენა მთელი ერთი კვირით გადასწია. პრეზიდენტის ასეთი ქმედება ზოგმა გონივრულ ნაბიჯად შეაფასა, ზოგმა — ივანიშვილთან პიროვნულ ანგარიშსწორებად, ზოგმაც — ისედაც აწეწილ სახელისუფლებო კოალიციაში ჩადებულ სამომავლო ნაღმად. პარლამენტარმა ზურაბ ტყემალაძემ, მაგალითად, მარგველაშვილის საქციელი შეადარა ჭირვეულ ბავშვს, რომელიც ბინას აურ-დაურევს და მერე თავიდან დასალაგებელი ხდება. შეძლებს კი „იპოთეკარი“ პრეზიდენტი „არეული ბინის“ დალაგებას, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

ამასობაში კი ლარი სულ უფრო და უფრო უფასურდება. მთავრობა პარლამენტისგან ნდობის ხელმეორედ მოპოვებას გულის ფანცქალით ელოდება, დამშეული მოსახლეობა კი — გაუსაძლისი ყოფიდან თავის დახსნას.

ოთარ ხუციშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველოს საგარეო უწყება მთიან ყარაბაღში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებს არ ცნობს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მთიანი ყარაბაღის რეგიონში გამართულ ე.წ. „საპარლამენტო არჩევნებთან“ დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ადასტურებს მხარდაჭერას აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და არ ცნობს 2015 წლის 3 მაისს მთიანი ყარაბაღის რეგიონში გამართულ ე.წ. „საპარლამენტო არჩევნებს“.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ ყველა შესაძლო ფორმატი იქნება გამოყენებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებისათვის“, — ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

აპრილში ტრანსპორტის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ფასი გაიზარდა, სურსათის კი - შემცირდა

მიმდინარე წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 0,3 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, აპრილში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა ფასების ცვლილებამ იქონია. კერძოდ, ოფიციალური მონაცემებით, ტრანსპორტზე წინა თვესთან შედარებით ფასები 1,8 პროცენტით, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე კი 1,0 პროცენტით გაიზარდა. ამის პარალელურად, საქსტატის ინფორმაციით, ფასები 0,3 პროცენტით შემცირდა სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე.

ინტერპრესი

პრემიერის მიერ მინისტრების დანიშვნა კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება

კონსტიტუციური სამართლის დოქტორის, პროფესორ **ნოდარ პაპუკაშვილის** შეფასებით, ნდობის ვოტუმის მოპოვების ახლანდელ პროცესში პრემიერის მიერ მინისტრების დანიშვნა კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

როგორც პაპუკაშვილი აცხადებს, მოვალეობის შემსრულებლებად მინისტრების დანიშვნის უფლებას პრემიერს არანაირი საკონსტიტუციო ჩანაწერი არ ართმევს.

„როდესაც საუბარია პარლამენტის ნდობის გამოცხადებამდე პრემიერ-მინისტრის მიერ მინისტრების დანიშვნის მართლზომიერებაზე, მიზანშეწონილია გაიმიჯნოს ორი საკითხი. პირველი, ეს არის ვითარება, როდესაც კანონიერი საფუძვლის გამო ხდება მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტა და ასეთ დროს, კონსტიტუცია ნათლად მიუთითებს სავალდებულო პროცედურების თაობაზე მთავრობის ლეგიტიმაციის უზრუნველყოფისთვის. მეორე შემთხვევაა, როდესაც იცვლება გამოცხადებული მთავრობის მინისტრთა 1/3, შესაბამისად, მთავრობა ვალდებულია პარლამენტის მხრიდან ხელახლა მოიპოვოს ნდობა, ხოლო, ამ დროს, კონსტიტუციური წესრიგის დასაცავად, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, ასეთ ვითარებაში, ითვლება თუ არა მთავრობა უფლებამოსილება შეწყვეტილად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ შემთხვევაში ყველაფერი ნათელია და ერთი შეხედვით ამ მარტივ სამართლებრივ კაზუსს არეგულირებს საქართველოს კონსტიტუციის 80 პრიმა მუხლი, რომლის თანახმად მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის იმავე შემადგენლობას აკისრებს მოვალეობის შესრულებას ახალი შემადგენლობის შექმნამდე. თუ განვიხილავთ მთავრობას უფლებამოსილებაშეწყვეტილად, ასეთ ვითარებაში, პრეზიდენტი ვალდებული იყო გამოეცა აქტი მოქმედი მთავრობისთვის დროებით უფლებამოსილების დაკისრების თაობაზე, რის შემდეგაც ყველა პროცესი საკონსტიტუციო ჭრილში წარიმართებოდა და ზედმეტი კითხვებიც არ გაჩნდებოდა. რამდენადაც, კონსტიტუცია პირდაპირ არაფერს ამბობს და, შესაბამისად, პრაქტიკაც იქითკენ წავიდა, რომ მთავრობა უფლებამოსილებაშეწყვეტილად არ იქნა აღიარებული, ჩემი აზრით, აღნიშნული კაზუსი მართებულად იქნა აღქმული კონსტიტუციონალისტების მიერ, გამოდის, რომ მთავრობას, მათ შორის, პრემიერ-მინისტრს გააჩნია სრული კომპეტენცია, რომელიც მას კონსტიტუციამ მიანიჭა, მათ შორის, მინისტრების დანიშვნის უფლებაც. აღნიშნულ ჭრილში, საკამათო აღარ უნდა იყოს იმ სამი მინისტრის ლეგიტიმაციის საკითხი, რომლებიც ნდობის ვოტუმის მოპოვების მიმდინარე კონსტიტუციურ პროცესში იქნენ დანიშნული, რადგან კონსტიტუციის თანახმად ყველა მინისტრი, მათ შორის ის სამიც, პრემიერ-მინისტრის მიერ ხელახლა დანიშვნა/გადანიშვნას ექვემდებარება“, — აცხადებს პაპუკაშვილი.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის 81 პრიმა მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება კონსტიტუციის მე-80 პრიმა მუხლით დადგენილი წესით ხდება, ანუ, პრემიერ-მინისტრის მიერ მინისტრების დანიშვნა უნდა განხორციელდეს პარლამენტის მხრიდან ნდობის ვოტუმის მინიჭების შემდეგ, აღნიშნული საკონსტიტუციო ჩანაწერიც კი პრემიერ-მინისტრს არ ართმევს უფლებას, მოვალეობის შემსრულებლებად დანიშნოს მინისტრები, თუნდაც ნდობის ვოტუმის მოპოვების მიმდინარე კონსტიტუციურ პროცესში, მის მოპოვებამდე.

ვის ათავისუფლებდნენ განათლების სამინისტროში პოლიტიკური ნიშნით?

საჯარო სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელმა კომისიამ ორწლიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა.

ანგარიშის პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა და მას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპეციალური კომისია დაკომპლექტებული იყო საქართველოს სახალხო დამცველისა და 7 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან და მის კომპეტენციაში შედიოდა 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის შექმნამდე, 2012 წლის 14 დეკემბრამდე საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შესწავლა, შეფასება და კომპეტენციის ფარგლებში მინისტრისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

როგორც თამარ სანიკიძემ განაცხადა, კომისიამ იმუშავა ძალიან კარგად და ასევე აღნიშნულ კომისიას ჰქონდა ძალიან მაღალი საზოგადოებრივი ნდობა. მინისტრის თქმით, მათ მიერ ჩატარებული სამუშაო მძიმედ მიმდინარეობდა, რადგან დიდი დანაკლისია დოკუმენტაციისა და მასალების, რადგან წინა წლებში თანამშრომლებს ყველანაირი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე უშვებდნენ.

„თუმცა, ამ ხალხმა ის მოახერხა, რომ აღმოაჩინა ისეთი მომენტები, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ძალიან სერიოზული სისტემური ხასიათის დანაშაულებზე და სისტემურ ხარვეზებზე. ეს არის ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი“, — განაცხადა სანიკიძემ.

მისივე თქმით, დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა, თანაც სისტემატურად თანამშრომლების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას. ესენი იქნებოდნენ დირექტორები, მასწავლებლები და ა. შ.

„ასევე იყო ასეულობით შემთხვევა, როდესაც კანონდარღვევით ათავისუფლებდნენ და ამ ადამიანებს დღეს რეალურად დოკუმენტაციაც არ უჭირავთ ხელში, რითაც ისინი შეძლებდნენ წასულიყვნენ და თავიანთი უფლებები დაეცვათ. სწორედ ეს მოვახერხეთ მათი მხარდაჭერით, რომ ამ ადამიანებს, პირველი: გაუჩნდათ ყველა ის საფუძველი, რომ მათ გააგრძელონ თავისი უდანაშაულობის დადგენის კუთხით მუშაობა და მეორე, რაც ჩემთვის და სამინისტროსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, აღმოვაჩინეთ ის ხვრელები, საიდანაც შეიძლებოდა ასეთი დარღვევების ფონზე ადამიანები სამსახურიდან გაეშვათ. ეს ძალიან დაგვეხმარება ჩვენ შემდგომში სისტემის გასამართად. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ის სამუშაო, რაც ამ ადამიანებმა ჩაატარეს“, — განაცხადა სანიკიძემ.

მისივე თქმით, ის 23 ადამიანი, რომელთა სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად პოლიტიკური მოტივი დადგინდა, დღეს უკვე აღდგენილია სისტემაში.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს 23 ადამიანი, რომელიც კომისიამ გამოავლინა, ყველა სამსახურიდან გათავისუფლებული იყო 2012 წლამდე.

როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ აღნიშნა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში შესული იყო ბევრი განცხადება, რომელშიც გათავისუფლებული პედაგოგები მიიჩნევდნენ, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში მათ პოლიტიკური ნიშნით დევნიდნენ.

ბესელიას თქმით, მსგავს განცხადებებს მისი კომიტეტიც სწავლობდა.

„ის, რაც კომისიამ გააკეთა, იყო სისტემური კვლევა მთელი იმ პერიოდის, როდესაც ხდებოდა პოლიტიკური ნიშნით პედაგოგების გათავისუფლება, ეს იყო მნიშვნელოვანი სამუშაო და დღეს საზოგადოება ნახავს, რამდენად ხშირად ხდებოდა პედაგოგების გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით, დირექტორებზე ზეწოლა და პოლიტიკური მოტივაციით გადაწყვეტილებების მიღება სკოლებში, რომლებიც ყველაზე არაპოლიტიზებული უნდა იყოს. ეს სისტემური კვლევა დაეხმარება სამინისტროს და მთავრობას იმისთვის, რომ პედაგოგების დარღვეული უფლებები აღდგეს“, — განაცხადა ბესელიამ.

◎ ფარმაცევტული ბაზარი

მედიკამენტების მორიგი გაძვირება გარდაუვალია

უახლოეს მომავალში ფარმაცევტული პროდუქციის გაძვირება იგეგმება. მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივმა მუშაობამ შედეგი ვერ გამოიღო, შესაბამისად, არც მათი დაპირება შესრულდა. ლარის კურსი ისევ ეცემა და ფარმაცევტებიც მორიგ გაძვირებას ადასტურებენ.

კომპანია „პეესპეს“ დამფუძნებლის **კახა ოქრიაშვილის** განცხადებით, თუკი ეროვნული ვალუტის კურსი არ დასტაბილურდება, მალე მედიკამენტებზე ფასის ზრდაა მოსალოდნელი. კომპანიებს რაც შეეძლოთ, აქამდე არეგულირებდნენ ფასს, მაგრამ ახლა ლარი ძალიან დაეშვა დაბლა, ამიტომაც მორიგი გაძვირება დღის წესრიგში დადგა.

„აქამდე ფარმაცევტულმა კომპანიებმა იმუშავეს მწარმოებელ კომპანიებთან და დამატებითი ფასდაკლებები მიიღეს. ბევრმა დაუწია ფასს, ბევრმაც არ დააკლო, მაგრამ რეალურად ეს პროცესი მიმდინარეობდა. ბოლო პერიოდში ევროს კურსი იყო სტაბილური, დაახლოებით, 2.30-ის ფარგლებში და აქედან გამომდინარე, ევროზონიდან შემოსული მედიკამენტებიც არ გაძვირებულა.

დღეს კი უკვე ევროსა და დოლარის კურსი ისეთ ზღვარზეა მისული, დაახლოებით, 2.55 და 2.33, როდესაც მედიკამენტებს შესაძლებელია შეეხოს გაძვირება. ეს გაძვირება იქნება დაახლოებით 5%-იანი და არა უფრო მეტი“, — აცხადებს კახა ოქრიაშვილი.

მისი ინფორმაციით, დაახლოებით 10 000 მედიკამენტი ბრუნავს საქართველოს ბაზარზე და მათგან გაძვირებულია დაახლოებით 400-500 დასახელება სხვადასხვა ნიშნულით — ზოგი 2%-ით, ზოგი 10%-ით. თუ რა როლი აკისრია სახელმწიფოს წამლების ფასის დარეგულირების საკითხში, ამაზე ოქრიაშვილს ცალსახა პასუხი არ აქვს.

„ვფიქრობ, რომ ფასების ზრდის შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს რეაგირება, არამედ უნდა გააკეთოს მონიტორინგი. თუ დაარეგულირებს ფასებს, რა მოხდება ამით, გაიაფდება მედიკამენტი?“ — კითხულობს „პეესპეს“ დამფუძნებელი.

ამ დროს კი ჯანდაცვის სამინისტრო სწორედაც აპირებს რაღაც დოზით და პროგრამით ჩაერიოს ფარმაცევტულ პროდუქციაზე ფასწარმოქმნის საქმეში. დავით სერგეენკოს უწყება უახლოესი თვეების განმავლობაში ე.წ. სოციალური წამლის პროექტის განხორციელებას გეგმავს, რომლის ფარგლებშიც, სულ მცირე 200 დასახელების პირველადი მოხმარების მედიკამენტზე ფასი შემცირდება. სხვათა შორის, მინისტრს წამლების გაძვირების შესახებ ცოტა განსხვავებული მონაცემებიც მოჰყავს.

„დაახლოებით 450 დასახელების მედიკამენტზე, ფასების ზრდამ 15%-20% შეადგინა. ორმა ფარმაკოლოგიურმა კომპანიამ ძალიან კარგი სოციალური სოლიდარობის პროექტი გააკეთა, როცა რამდენიმე ათეულ მედიკამენტზე ფასი დაწია. მეორე მხრივ, ვადასტურებ, რომ უახლოესი თვეების განმავლობაში ე.წ. სოციალური წამლის პროექტი განხორციელდება, როდესაც მინიმუმ 200 დასახელების პირველადი მოხმარების მედიკამენტზე ფასები შემცირდება“, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა. ზუსტად როდის ამოქმედდება ეს პროექტი, ჯერ ცნობილი არ არის.

ამასობაში კი ლარის კურსის გამოისობით და სამედიცინო ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კერძო სადაზღვევო კომპანიის ნაწილმა პოლისები დაახლოებით 12-დან 17%-მდე გააძვირა. მზღვეველთა ნაწილი კი ჯერჯერობით ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს აკვირდება და გადაწყვეტილებას ამის შესაბამისად მიიღებს. გაძვირდა სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობები. ასეთი ტენდენციის გამო სადაზღვევო კომპანიებმა ჯანმრთელობის პაკეტი უკვე გააძვირეს. პოლისების გაძვირების მიზეზი მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ფასების მატებაა.

ბექა დანელია

◎ ალიან-ჩალიანი

ტუბერკულოზის შემთხვევა თბილისის სკოლაში

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ლია გიგაურის განცხადებით, თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში ტუბერკულოზის ოთხი შემთხვევის გამოვლენის გამო სწავლის შეწყვეტის საჭიროება არ დგას.

„შეატყობინეს სკოლასაც. დაავადების კონტროლის ცენტრს ისე აქვს სისტემა, რომ ყველა კავშირს იკვლევს, ვისთან ჰქონდათ ამ ბავშვებს კავშირი, როგორც სკოლის ტერიტორიაზე, საკლასო სივრცეში, ასევე ნათესაურ კავშირებს. შემდეგ ხდება მათი გამოკვლევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება“, — განაცხადა გიგაურმა.

რაც შეეხება თავად სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, როგორც გიგაურმა აღიშნა, დაავადებათა კონტროლის ცენტრი განათლების სამინისტროს პერიოდულად აწვდის ამ ღონისძიებების ნუსხას და სკოლები მუდმივად ატარებენ სანიტარიულ-ჰიგიენურ აქციებს. კითხვაზე, დგას თუ არა აღნიშნული ფაქტის გამო 24-ე საჯარო სკოლაში სწავლის შეწყვეტის საჭიროება, გიგაურმა აღნიშნა, რომ სწავლის შეწყვეტის საჭიროება ნამდვილად არ დგას.

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია: ა) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. ფანშეთის ტერიტორიაზე უზრუნველყოს მინერალური წყლის ჩამოსასხმელი საწარმოს და შესაბამისი ინფრასტრუქტურის (წყლის ჩამოსხმის საამქრო, დამხმარე ნაგებობები: ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსოები, საწარმოო ლაბორატორია და ყველა სხვა ნაგებობა, რომლის არსებობაც საჭიროა წყლის ჩამომსხმელი საწარმოს გამართული ფუნქციონირებისათვის) მშენებლობა და ფუნქციონირების დაწყება სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლის ვადაში; ბ) უზრუნველყოს საწარმოში საქართველოს მოქალაქეების (სასურველია ადგილობრივი მოსახლეობის) დასაქმება, დასაქმებული პერსონალის არანაკლებ 30%-ის ოდენობით; გ) უზრუნველყოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. ფანშეთამდე მისასვლელი გზისა და გზის გასწვრივ მიწაყრილის მოწყობა გზის სავალი ნაწილის დაცვის მიზნით; დ) სოფელ ფანშეთში ააშენოს დახურული ტიპის სპორტული დარბაზი და ღია ტიპის სპორტული სათამაშო მოედანი; ე) ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, ააშენოს მცირე ინფრასტუქტურული ობიექტი; ვ) „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებული პირობები ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს ლიცენზიის გაცემიდან 2 (ორი) წლის ვადაში; ზ) უზრუნველყოს საბადოზე არსებული გამოუსადეგარი ჭაბურღილების ლიკვიდაცია; თ) უზრუნველყოს წყლის საბადოსა და წყლის ჩამომსხმელ საამქროს შორის წყლის ტრანსპორტირება მხოლოდ მათი დამაკავშირებელი მილსადენის საშუალებით ,,წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით; ი) ლიცენზიის მიღებიდან არაუმეტეს 18 თვის ვადაში განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა, წყლის მარაგების გამოთვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა; კ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; ლ) განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე და ასევე სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; მ) მარაგების დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ნ) სალიცენზიო ობიექტზე სანიტარული ზონის დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს ჭაბურღილების გარშემო ტერიტორიის შემოღობვა; ო) ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს ზედაპირის გაუწყლოვანება სადრენაჟე არხების მოწყობით; პ) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ჟ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; ს) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ტ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; უ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ფ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით. ქ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფანშეთის მიმდებარე ტერიტორია, „ფანშეთის“ საბადოს მინერალური წყლის (ჭაბურღილები №2; №3 და №4) შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფანშეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	8 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 5 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

⊙ კრიმინალი

შუახევში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს შუახევის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ზურაბ ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა 3 მაისს, დაბა შუახევში, ბენზინგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, საღამოს საათებში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით 1990 წელს დაბადებულ დათო დ.-ს მუცლის არეში ორი ჭრილობა მიაყენა, ასევე ცივი იარაღით დაჭრა 1976 წელს დაბადებული გენადი დ. და 1972 წელს დაბადებული ვაჟა დ. და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

დათო დ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. გენადი დ-ს და ვაჟა დ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობაში ბრალდებული პირი ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მომხდარიდან დაახლოებით ერთ საათში ქედის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

პორნოგრაფიული მასალების გავრცელების ფაქტზე 40 პირი პასუხისგებაში მისცეს

შსს-მ პორნოგრაფიული მასალების უკანონოდ გავრცელების ფაქტზე 40 პირი გამოავლინა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა თბილისში, ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 19 სხვადასხვა ვებგვერდზე პორნოგრაფიული ნაწარმოების და გამოსახულების უკანონოდ გავრცელებისა და რეკლამირების ფაქტზე გამოავლინეს და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს 40 პირი.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა სხვადასხვა დროს და ვითარებაში შემოსავლის მიღებისა და ვებ საიტების პოპულარიზაციის მიზნით, მოიპოვეს პორნოგრაფიული, მათ შორის არასრულწლოვანთა გამოსახულების შემცველი ვიდეოფაილები, რომლებიც ვებ-საიტებზე ატვირთეს, რითიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადეს ინტერნეტ მომხმარებლებისათვის. შსს-ს ინფორმაციით, მათ მიერ ინტერნეტში ატვირთული პორნოგრაფიული ხასიათის ვიდეოფაილები შეუზღუდავად ვრცელდებოდა ბოლო პერიოდამდე. ამჟამად აღნიშნული საიტების ჰოსტინგები გათიშულია, ხოლო მომხმარებლებები – დაბლოკილი. ბრალდებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

საქართველოს ეძღვნება ყველა ქართველ ფრონტელ მფრინავს

სტალინი დიდ დროს უთმობდა ავიაციას, შეიძლება ითქვას, რომ ავიაცია ერთგვარად ბელადის ვნებითი გატაცება იყო. თუმცა, სიტყვებიც „არტილერია ომის ღმერთიაო“ ი.ბ.სტალინს ეკუთვნის და მისი უფროსი შვილი იაკობ ჯუღაშვილი შესანიშნავი არტილერისტი იყო, მაგრამ სტალინის დევიზის — „ყველაზე მაღლა, ყველაზე სწრაფად, ყველაზე შორს“ — შემდეგ ოცდაათიან წლებში ათასობით საბჭოთა ჭაბუკი აეროკლუბებისკენ, საფრენოსნო სასწავლებლისკენ იღებდა გეზს. ყველას პირზე ეკერა საბჭოთა ქვეყნის ლეგენდარული მფრინავების გვარები — მიხეილ გრომოვის, რომელმაც თვითმფრინავ ანტ-25-ზე დაამყარა მსოფლიო რეკორდი, აგრეთვე ვალერი ჩკალოვის, ვინც გ.ბაიდუკოვთან და ა.ბელიაკოვთან ერთად იმავე 1937 წელს შეასრულა სენსაციური გადაფრენა ანტ-25-ზე „სტალინის მარშრუტით“ მოსკოვიდან ჩრდილოეთი პოლუსის გავლით ამერიკის შეერთებულ შტატებში...

საქართველოში გაიზარდა და დავაჟკაცდა ასობით პირველი კლასის სამხედრო მფრინავი, რომელთაგანაც ბევრმა ავიაციით თავისი გატაცება დაიწყო თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის აეროკლუბებიდან, ხტებოდნენ პარაშუტებით მაშინ სახელგანთქმულ მუშტაიდის ბაღში, სადაც ომის წინ აიგო საქართველოში პირველი ავიაკოშკი. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კინოფილმმაც „გამანადგურებლები“. როდესაც 1941 წლის იანვარში საქართველოს დედაქალაქში შეიქმნა სამხედრო-საჰაერო ძალების საფრენოსნო სპეცსკოლა — იქ შესვლის მსურველთა რიცხვს სათვალავი არ ჰქონდა...



ვასილ სტალინი

ყველაზე ცნობილი სამხედრო მფრინავი საქართველოდან, რასაკვირველია, ვ.ვ.ნანეიშვილი იყო. ის არა მხოლოდ ქართველ მფრინავებს შორის, არამედ ყველა ქართველს შორის, პირველი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი. ეს 1940 წლის 21 მარტს მოხდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს. მაშინ ეს წოდება მიენიჭათ ქვეით ჯარისკაცებს ალექსანდრე სულაბერიძესა და ილია ხმალაძეს. და როდესაც იმავე წლის მაისში ი.ბ.სტალინმა შემოიღო გენერლებისა და ადმირალების წოდება, ვ.ვ.ნანეიშვილი გახდა პირველი ქართველი ავიაციის გენერალ-მაიორი. ის ქართველთა შორის იყო ავიადივიზიის პირველი მფრინავი მეთაური, ფაშისტურ გერმანიასთან ომის წლებში იღვაწა გენერალ-ლეიტენანტის წოდებამდე და მე-2 საჰაერო არმიის სარდლის მოადგილემდე. ვისლაოდერის ოპერაციის დროს 70 წლის წინათ ჩვენი ლეგენდარული თანამემამულე ი.ბ.სტალინის დავალებით კოორდინაციას უწევდა ორი საჰაერო არმიის საბრძოლო მოქმედებებს.

წილად მხვდა ბედნიერება პირადად გავცნობოდი ომის პერიოდის ერთ-ერთ საუკეთესო პილოტს ვლადიმერ ვარდენის ძე ნანეიშვილს, როდესაც ის 1963-1970 წლებში სათავეში ედგა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს. მახსოვს, საბჭოთა აღლუმების პერიოდში, როდესაც გამოჩნდებოდა ხოლმე არც თუ მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი ვლადიმერ ნანეიშვილი თავის სრულ სააღლუმო საგენერალო ეკიპირებითა და უამრავი ჯილდოთი, ყველას მზერა მისკენ მიეპყრობოდა ხოლმე, რაც ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ამ თავმდაბალ ლეგენდარულ კაცს. მის მკერდს გმირის ოქროს ვარსკვლავის გარდა ამშვენებდა ლენინის ორი ორდენი, 10 სხვა ორდენი, 4 უცხოეთის ორდენი და 12 მედალი. ამდენი ჯილდო ომის მონაწილე ქართველთა შორის არ ჰქონია არავის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1955 წელს რეპრესირებულ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, უშიშროების გენერალ-ლეიტენანტ ლ.ფ.ცანავას. სხვათა შორის, მომდევნო წლებში ავიაციის გენერალი გახდა ვლადიმერ ნანეიშვილის ვაჟიშვილი — გაიოზი, რომელმაც ისე დაამთავრა მოსკოვში ორი სამხედრო აკადემია, რომ არავინ იცოდა, თუ ის ლეგენდარული ქართველი მფრინავის შვილი იყო. თავისი საქმის უმაღლესი ხარისხის პროფესიონალი გაიოზ ნანეიშვილი 1982 წელს დაბრუნდა საქართველოში, სადაც სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის „დოსააფს“...

მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშისტ მტარვალებთან ყველა ფრონტზე იბრძოდა ათასობით ქართველი მფრინავი, რომელთაგანაც ბევრმა უკვდავი სახელი მოიხვეჭა. საქართველოს 40 შვილი — მფრინავი — საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. საქართველოში, აფხაზეთში გაზრდილი, სოხუმის აეროკლუბის გაგრის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ვ.ი.პოპკოვი გახდა საქართველოში ერთადერთი საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, რომელმაც ომის შემდეგ მიაღწია ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკის წოდებას. ომის ბევრ ცნობილ გმირს, სამხედრო მეთაურს ვიცნობდი, მაგრამ მეგობრობისთვის ასეთ თავგამოდებულ, უპატიოსნეს და თავმდაბალ ადამიანს ბევრს არ შევხვედრივარ. ყოველწლიურად ვულოცავდით ერთმანეთს ტელეფონით ახალ წელს და 9 მაისს. არც ისე დიდი ხნის წინათ 86 წლის ასაკში კაცი — ლეგენდა ვიტალი ივანეს ძე პოპკოვი გარდაიცვალა მოსკოვში. ის იყო ადამიანი, რომელიც ბავშვობიდან ვასილ სტალინთან მეგობრობდა.

რამდენიმე სიტყვით გიამბობთ ერთ ამაღელვებელ ისტორიას, რომელიც ყველაზე უკეთ ახასიათებს ვ.ი.პოპკოვს. ომში ის ერთ დროს მსახურობდა ი.ბ.სტალინის შვილთან — ვასილისთან 32-ე გვარდიულ საავიაციო პოლკში, ესკადრილიის მეთაურად. ისინი ნამდვილი მეგობრები იყვნენ, როდესაც, მამის სიკვდილის შემდეგ, ვასილ სტალინი, დაუფარავად, ხმამაღლა ლაპარაკობდა მისი მოწამვლის შესახებ, ხრუშჩოვმა უმალვე მოახდინა ბელადის შვილის იზოლირება, დამალა იგი ციხეში სხვისი გვარით. ბევრმა მაშინ ზურგი აქცია ვასილ სტალინს, რომელმაც ერთ საათში დაკარგა მამაც, თავისუფლებაც, ყველა თავისი წოდებაც. მხოლოდ ერთეულები არ შეურიგდნენ უსამართლობის ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტს. ერთ-ერთი მათგანი მისი ფრონტელი მეგობარი ვ.პოპკოვი იყო. ბევრი თხოვნა დაწერა მან, რომ მოეხდინათ ფრონტელი ამხანაგის რეაბილიტაცია. ზოგჯერ მასთან ერთად იბრძოდნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები და მსახიობები, როგორებიც იყვნენ ვსევოლოდ ბობროვი, ნიკოლაი კრიუჩკოვი.

ხოლო როდესაც ვასილ სტალინი ყაზანში გაგზავნეს, ვ.პოპკოვი რამდენჯერმე ჩავიდა მასთან, მიუხედავად ხელისუფლების უკმაყოფილებისა. ვასილი სტალინის უცნაური გარდაცვალების შემდეგ, პოპკოვი მიდიოდა ხოლმე მის საფლავზე ყაზანში, ხოლო მოსკოვში ვასილი სტალინის საიდუმლო გადასვენების შემდეგ, ტროეკუროვის სასაფლაოზე. 2003 წლის ნოემბერში, ის ყოველწლიურად რამდენჯერმე მიდიოდა მეგობრის საფლავზე, ყოველთვის ყვავილებით. უკანასკნელად მის საფლავზე გმირი მფრინავი მივიდა 2009 წლის 9 მაისს, თავის გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე. მას უკვე უჭირდა სიარული, გადაადგილდებოდა ნახევარყავარჯნებით, მაგრამ ვასილ სტალინს ის არ ღალატობდა არასოდეს, არც მის სიცოცხლეში, არც მისი გარდაცვალების შემდეგ, მიაჩნდა იგი ბრწყინვალე მფრინავად და ერთგულ მეგობრად!

ვ.ნანეიშვილი

მახსენდება მონათხრობი გენერალ-მაიორ ნიკოლოზ კალაძისა, რომელიც სტალინგრადის ბრძოლის წინ სათავეში ედგა გვარდიულ მსროლელთა დივიზიას და ერთხელ გასაოცარი ამბის მომსწრე გახდა. ცაში გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა ფაშისტ და საბჭოთა თვითმფრინავებს შორის. ორი პილოტი თავიანთ გამანადგურებლებზე მამაცად უტევდა გერმანელების ორ გუნდს. ორი — ექვსის წინააღმდეგ! აი, ერთი გერმანული თვითმფრინავი აბრიალდა ცაში, შემდეგ მეორეც. საბჭოთა მეომრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მალე ცეცხლი გაუჩნდა მტრის მესამე თვითმფრინავსაც, დანარჩენები სასწრაფოდ გაიფანტნენ. ამ საჰაერო შეტაკებით დაინტერესებული დივიზიის მეთაური დიდხანს ვერ ახერხებდა, გაეგო გმირი მფრინავების გვარები. მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ მას კონფიდენციალურად აცნობეს, რომ მაშინ ცაში აიჭრნენ გამანადგურებელი ავიადივიზიის მეთაური, ავიაციის მომავალი გენერალ-მაიორი ესტატე ტატანაშვილი და ვასილ ვასილიევი. ამ გვარის უკან იმალებოდა ვასილი სტალინი. ასე მომავალშიც ხშირად იყო. აი, რატომაა, რომ ვასილ სტალინის სასამსახურო სიაში მხოლოდ 27 საბრძოლო გაფრენა და მტრის ორი ჩამოგდებული თვითმფრინავია. მას უფრთხილდებოდნენ, ცდილობდნენ, არ გაეშვათ საბრძოლველად, მაგრამ ვასილ სტალინი ყოველთვის ახერხებდა სხვისი გვარით ჩართულიყო საჰაერო დაპირისპირებაში. სხვათა შორის, ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო მფრინავი, 10 საბრძოლო ორდენის კავალერი ესტატე ტატანაშვილი ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. იგი ვაკის სასაფლაოს შესასვლელში დაკრძალეს. ის მაშინ 56 წლისა იყო. ომის შემდეგ ვასილ სტალინი მოსკოვის სამხედრო ოლქს სარდლობდა, 28 წლისა გახდა ქართველთა შორის ყველაზე ახალგაზრდა გენერალ-ლეიტენანტი, როდესაც ის გარდაიცვალა, ჯერ 41 წლისაც არ იყო...

საქართველოს ისტორიაში ლეგენდად შემოვიდა სამხედრო მფრინავის ჭიჭიკო ბენდელიანის გმირობა. ის ჩოხატაურელი იყო. ომის სამი წლის განმავლობაში ავიაციის გვარდიის მაიორმა მოასწრო განეხორციელებინა 410 საბრძოლო გაფრენა, გაანადგურა ფაშისტების 31 თვითმფრინავი! 1943 წლის 24 აგვისტოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მამაცი მფრინავი ბრძოლაში დაიღუპა. ის პატივით დაკრძალეს ქ.კაუნასის მახლობლად. შარშან მისი ნეშტი თბილისის საბურთალოს სასაფლაოზე გადმოასვენეს დიდი პატივით. 30 წლის გმირზე შექმნილია სიმღერა „ჭიჭიკო ბენდელიანი“, რომელიც ჭეშმარიტად სახალხო სიმღერად იქცა.

ტრაგიკულად წარიმართა ავიაციის მეორე მაიორის, სენაკის რაიონის მკვიდრის ალექსანდრე წურწუმიას ბედისწერა. სამხედრო-საზღვაო ფლოტის საავიაციო სკოლის კურსდამთავრებული ომის პირველივე დღეებიდანვე ჩაება უთანასწორო ბრძოლაში ფაშისტ სვავებთან შავი ზღვის ცაზე. ესკადრილის მეთაური ა.პ.წურწუმია მონაწილეობას ღებულობდა მტრის სტრატეგიული ობიექტების პირველ დაბომბვაში. მისთვის არც ძილი იყო და არც დასვენება. იყო მხოლოდ უწყვეტი შეტაკებანი ფაშისტ მფრინავებთან, ის 1941 წლის 30 დეკემბერს დაიღუპა.1944 წლის 22 თებერვალს სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

საჰაერო ბრძოლებში სახელი გაითქვა ავიაციის მაიორმა, მოგვიანებით ვიცე-პოლკოვნიკმა ვ.ს.ჩოჩიევმა ცხინვალის რაიონის სოფელ ბაბილეთიდან. ბატაის ავიასკოლის კურსდამთავრებული ომამდე მუშაობდა ცხინვალის აეროკლუბში მფრინავ ინსტრუქტორად. 1943 წლის 1 ნოემბერს გამოჩენილი გმირობისათვის ვასილ სიმონის ძეს გმირის წოდება მიანიჭეს. ფართოდ იყო ცნობილი მამაცი მფრინავი მეთაურის ა.ი.ხარებოვის სახელი ქალაქ ცხინვალიდან. 1944 წლის 10 ოქტომბერს მას ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. ის უკვე მაშინ მეთაურობდა მე-8 საჰაერო არმიის მე-7 ავიაკორპუსს. ომის შემდეგ ა.ი.ხარებოვის მკერდი 9 საბრძოლო ორდენმა, მათ შორის 5 საბრძოლო წითელი დროშის ორდენმა დაამშვენა! წითელი დროშის იმდენივე ორდენით დაჯილდოვდა საქართველოს კიდევ ორი მფრინავი — შალვა ქირია და სიდორ სლუსარევი. სხვათა შორის, თბილისელ სიდორ სლუსარევს ჯერ კიდევ ომამდე, 1939 წლის 22 თებერვალს

შევარდნები

მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება – პირველს საქართველოდან. ომის წლებში მეთაურობდა ავიაკორპუსს, ომის შემდეგ კი იმოღვაწა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის წოდებამდე. ზუგდიდელი შ.ნ.ქირია ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო მფრინავი იყო. ომის პირველიდან უკანასკნელ დღემდე მან 189 საბრძოლო გაფრენა განახორციელა, პირადად ჩამოაგდო მტრის 22 თვითმფრინავი. ის ფართოდ იყო ცნობილი მთელ ქვეყანაში, მეგობრობდა სამგზის საბჭოთა კავშირის გმირ ივან კოჟედუბთან, რომელთან ერთადაც მონაწილეობას ღებულობდა 1945 წლის 24 ივნისის გამარჯვების აღლუმში.

როდესაც წითელ მოედნზე სტალინური შევარდნების ნაკრები კოლონა მიაბიჯებდა, მაყურებელს თვალებს სჭრიდა ოქროს ვარსკვლავებისა და ორდენების სიუხვე, რომლებიც სამხედრო მფრინავების ახალ მოლურჯო კიტელებზე ბრწყინავდნენ. ისინი იყვნენ ომის წლებში პირველები და უკანასკნელები

ჯარების სხვა სახეობათა შორის, ვისაც გმირის უმაღლესი წოდება მიენიჭათ. პირველ მწკრივში იყვნენ სამგზის საბჭოთა კავშირის გმირები ი.ნ.კოჟედუბი და ა.ი.პოკრიშკინი, მათ გვერდით მიაბიჯებდნენ საქართველოს შევარდნები – ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვ.ი.პოპკოვი, საბჭოთა კავშირის გმირები გერმანე კილასონია, გარი მერკვილაძე, გიორგი თვაური და სხვები.

ბათუმელი გ.ა.მერკვილაძე პილოტაჟისა და საჰაერო ბრძოლის ნამდვილი ასი იყო. ადგილობრივი აეროკლუბის შემდეგ დაამთავრა სამხედრო-საჰაერო ძალების თბილისის სპეციალური სკოლა, შემდეგ – არმავირის მფრინავების სკოლა. ბელგრადი, ხარკოვი, იასი, ლვოვი, სანდომირის პლაცდარმი, კარპატები, ბერლინი – აი, ასეთია ბათუმელი პილოტის ბრძოლის ადგილების არასრული სია. საბჭოთა კავშირში მან პირველმა ჩამოაგდო გერმანიის რეაქტიული გამანადგურებელი თავისი წითელვარსკვლავიანი „ქორით“. მის სასამსახურო სიაშია 400 საბრძოლო თვითმფრინავგაფრენა, 118 საჰაერო ბრძოლა, 99 გადამწყვეტი იერიში. ომის შემდეგ ის გახდა ავიაციის გენერალი, იყო საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე. ის 48 წლისა გარდაიცვალა. მისი ღირსების აღსანიშნავად საქართველოს საზღვაოსანაოსნოს საოკეანო ტანკერს „გენერალ მერკვილაძის“ სახელი მიენიჭა. მანამდე საქართველოში ასეთი მაღალი პატივი მიეგოთ ლეგენდარულ მეთაურებს გენერალ-პოლკოვნიკებს კ.ნ.ლესელიძესა და პ.გ.ჩანჩიბაძეს, შორეული ნაოსნობის კაპიტანს ანატოლი კაჭარავას.

მაღალ მწვერვალებს მიაღწია კიდევ ერთმა ბათუმელმა ა.ვ.ბორმანმა. ომამდე ის კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის მე-19 ავიადივიზიის მეთაური იყო. ერთ-ერთი პირველი შეხვდა მტერს, დაფრინავდა თვითონ, მაგალითს აძლევდა დანარჩენებს. 1941 წლის 19 სექტემბერს მას ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1945 წლის 4 თებერვლიდან ა.ვ.ბორმანი მე-5 საჰაერო არმიის

გ.მერკვილაძე

ბა ქართული საჰაერო ფრენის პიონერებისადმი – ბესარიონ ქებურიასა და ალექსი შიუკაშვილისადმი (შიუკოვისადმი). ქართველი პილოტები თითქმის ერთდროულად მსოფლიო ავიაციის ერთ-ერთ პიონერთან ფრანგ ლუი ბლერიოსთან ერთად აფრინდნენ ცაში 1908 წელს საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავებით. ბ.ს.ქებურია აფრინდა ტფილისში, საბურთალოს რაიონში, ა.ვ.შიუკაშვილი კი – მახათას მთიდან. ისინი იყვნენ პირველი ქართველი მფრინავები, რომლებმაც გზა გაკვალეს მეხუთე ოკეანის დაპყრობისაკენ...

ჭ.ბენდელიანი

სამწუხაროდ, საგაზეთო ფართობი საშუალებას არ გვაძლევს სრულად აღვწეროთ საქართველოს მფრინავთა წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში. შემოვიფარგლებით მხოლოდ ჩვენი თანამემამულეების, საბჭოთა კავშირის 40 გმირიდან დანარჩენების ჩამოთვლით. ესენი არიან თბილისელები ოთარ ჩეჩელაშვილი, კარლო მებაღიშვილი, ვლადისლავ ტურკული, მიხაილ გორბაჩოვი (სსრ კავშირის ყოფილი ლიდერი არ გეგონოთ), იური რიკაჩოვი, სერაფიმ იაცკოვსკი, ლევ ზაცეპა, ბათუმელები ვალენტინ შაპირო და ალექსანდრ გორბაჩევსკი, ბაგრატ (ბორის) ზუმბულიძე და ნიკოლაი იუფეროვი გორიდან, ზაქარია ხიტალიშვილი დუშეთიდან, რაჭველი ალექსანდრე გურგენიძე, თერჯოლელი დავით ჯაბიძე, გიორგი ინასარიძე მარელისიდან, ისრაფილ ჯინჭარაძე მახინჯაურიდან, სერგო კობლოვი ყაზბეგიდან, სოხუმელი ბორის გარინი, გიორგი თვაური კასპიდან, ბორის ლიტვინჩუკი გაგრიდან, დავით თევზაძე ლანჩხუთიდან, აგრეთვე ლენინგრადის ბლოკადის მამაცი მონაწილე, ავიაციის გენერალ-მაიორი ქვემო მაჩხაანიდან დიმიტრი შანშაშვილი. დღეს მეხუთე ოკეანის ჭეშმარიტი რაინდები ცოცხლები აღარ არიან. დრო დაუნდობელია...

მაგონდება, როდესაც სკოლის მოსწავლეები ვიყავით, გმირი მფრინავების შესახებ საუბრებით მოხიბლულები, გავრბოდით ავლაბარში, მთელ ქალაქში ცნობილ მფრინავების სახლისკენ, რომელიც სპეციალურად სტალინური შევარდნებისთვის აშენდა, რათა ცოცხლად გვეხილა ჩვენი თაობის კერპები.

უკანასკნელი ქართველი – საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გვარდიის ვიცე-პოლკოვნიკი ფოთში შოთა იოსების ძე შურღაია. მრავალი წლის განმავლობაში თბილისში ცხოვრობდა, საბურთალოზე. მე მას ყოველწლიურად ვხვდებოდი 9 მაისს ვაკეში, გამარჯვების პარკში. წლითიწლობით გვაკლდებოდნენ ისინი. და ყურადღებაც ომის გმირებისადმი მცირდებოდა შაგრენის ტყავივით. შოთა შურღაია ამ ქვეყნიდან წავიდა შეუმჩნევლად, როგორც ცხოვრობდა პოსტსაბჭოთა, ომის მონაწილეთათვის რთულ დროს. წავიდა გულდარდიანი, ჩვენი ცხოვრების იმ პერიოდზე, როდესაც გმირობა და მამაცობა, ღირსება და პატიოსნება, მოვალეობა ხალხისა და სამშობლოს წინაშე ფუყე, ცარიელი სიტყვები არ ყოფილა. საქართველოს 164 საბჭოთა კავშირის გმირიდან თითქმის ყოველი მეოთხე სამხედრო პილოტი იყო. 15 სამხედრო მფრინავმა ომის მონაწილემ საქართველოდან მიიღო ავიაციის გენერლის მაღალი წოდება როგორც ომის, ისე მომდევნო წლებში. სტალინური შევარდნები – ომის გმირები მუდამ დარჩებიან ჩვენს ხსოვნაში. არავინაა დავიწყებული, არაფერია დავიწყებული.

ლევან დოლიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

განცხადება

2015 წლის 25 ივნისს, 14 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141) გაიმართება მდ. კინტრიშზე მცირე სიმძლავრის (6 მგვტ) ჰიდროელექტროსადგურის (კინტრიში ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდ. კინტრიშზე კინტრიში ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას სათავე ნაგებობის განლაგების ადგილის მცირედი ცვლილებით.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.**
- **გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:**
- **პაატა ფხალაძე. ტელ: 571 04 54 70;** E-mail: pkhaladzep@skinest.ge;
- **ჯუღული ახვლედიანი. ტელ: 2 60 15 27;**

E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ ადმინისტრაცია

შპს „მარტ გადამუშავებას“ ადმინისტრაციის განცხადება

2015 წლის 29 ივნისს 14:00 საათზე, შპს „მარტ გადამუშავებას“ ოფისში (მისამართი: ქ. თბილისი, რკინიგზის სადგურ „ლილოს“ მიმდებარედ, ნაკვეთი №05/49), გაიმართება შპს „მარტ გადამუშავებას“ აკუმულატორების ჯართის გადამამუშავებელი საწარმოს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს აკუმულატორების ჯართის გადამუშავება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

- **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6, ტელ.:** +995(32)272-72-60;
- **შპს „მარტ გადამუშავებას“ ოფისი, ქ. თბილისი, რკინიგზის სადგურ „ლილოს“ მიმდებარედ ნაკვეთი №05**/49.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: ზურაბ სალთხუციშვილი, ტელ: +995(593)19-37-77.

შპს „მარტ გადამუშავებას“ ადმინისტრაცია

◎ დღე პირველი

ტარიელ ხეჩიკაშვილი მინისტრის მოვალეობას შეუდგა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრის მიერ გასულ კვირაში წარდგენილი ტარიელ ხეჩიკაშვილი მუშაობას შეუდგა.

ხეჩიკაშვილი სპორტის სამინისტროში უკვე მივიდა და გუშინ თანამშრომლებს პირველად შეხვდა. სამინისტროში იმყოფებოდა ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანიც, რომლის განცხადებით, ის ტარიელ ხეჩიკაშვილს შაბათსაც შეხვდა და სამინისტროს მუშაობის სპეციფიკის შესახებ ესაუბრა.

სამინისტროში შესვლამდე „მოამბის“ პირდაპირ ეთერში კომენტარი გააკეთა ტარიელ ხეჩიკაშვილმაც:

„დღეს თანამშრომლებს შევხვდებით და ჩვენს ხედვებს წარვუდგენთ. აქამდეც ვთქვი, რომ ჩემთვის თანამშრომლებთან მიმართებაში მთავარი ნიშანი პროფესიონალიზმი, პატიოსნება და პატრიოტიზმია. ვიცი, რომ აქ ბევრი ღირსეული ადამიანი მუშაობს და შესაბამისად, რევოლუციურ ცვლილებებს ნამდვილად არ ვგეგმავთ. ინტენსიური კონსულტაციები გვაქვს პარლამენტის სპორტის კომიტეტთან. გვექნება შეხვედრები, ბევრი საკითხია განსახილველი, ბევრი პროექტი ერთად უნდა განვახორციელოთ. შესაძლოა იყოს რაღაც საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ეს ბუნებრივია. ჩვენ ერთ სფეროს ვემსახურებით და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ერთობლივი მუშაობით მივაღწიოთ წარმატებებს“.

კანონმდებლობის მიხედვით, მთავრობის ახალი შემადგენლობა და მათ შორის სპორტის მინისტრის თანამდებობაზე ტარიელ ხეჩიკაშვილის კანდიდატურა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პარლამენტარებს კანდიდატურების განსახილველად ერთკვირიანი ვადა მიეცათ. თუმცა, მინისტრები აღნიშნულ პროცედურამდეც განახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას.

ბადრი იაშვილი

◎ ფეხბურთი

ლიდერები უდანაკარგოდ ირჯებიან

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 26-ე ტურში საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლმა პირველი ოთხეულის გუნდებმა თავისი შეხვედრები მოიგეს და სატურნირო ცხრილშიც ცვლილებები არ მომხდარა.

ლიდერმა „დილამ“ რუსთავში დაშლის პირას მყოფ „მეტალურგს“ 2:0 სძლია. ირაკლი მოდებაძემ მე-13 გოლი გაიტანა სეზონში და ბომბარდირთა დავას ისევ

სათავეში უდგას. რუსთაველთა მწვრთნელმა, ვარლამ კილასონიამ კი მატჩის შემდეგ თქვა: ჩემი ბიჭების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ეს გუნდი ბოლო ტურამდე იბრძოლებს და იქნებ გადავრჩეთო. მართლაც, გმირები არიან „მეტალურგის“ ფეხბურთელები, არანაირი პირობები: არც შუქი, არც წყალი, თვეობით გაუცემელი ხელფასები, რამდენი შეძლებდა ამდენ ხანს ენთუზიაზმზე თამაშს? მით უმეტეს, რომ ბევრ მათგანს ოჯახები ჰყავს სარჩენი.

ბათუმის „დინამომ“ ივანწმინდაში „ჩიხურას“ სძლია — 1:0 და ლიდერს ისევ სამი ქულით ჩამორჩება. ბათუმელებს გაზაფხულზე საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ ლიგაში, მათ 11 მატჩში 27 ქულა დააგროვეს (ლიდერმა „დილამ“ — ქულით ნაკლები), მათმა დამრიგებელმა ასლან ბალაძემ კი დასძინა: სეზონის დასაწყისში ვერ წარმოვიდგენდით, რომ ჩემპიონობის შანსი გვექნებოდა. გუნდის შენებას გეგმაზომიერად ვაგრძელებთ და ჩვენი წარმატება სწორი მუშაობის შედეგიაო. მართლაც, წლევანდელ სეზონში უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ზღვისპირელები საკუთარ თავს გადაახტნენ, დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა და ისინი მეორე ადგილზე არიან.

„ცხინვალმა“ ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვა, „სიონთან“ მათი შეხვედრა ტურის ყველაზე უხვგოლიანი (3:4) გამოდგა. ისევ გაიტანა ნიკა კაჭარავამ. ეს 21 წლის შემტევის მეექვსე გოლი გახლდათ ბოლო ოთხ მატჩში. ცხინვალელები მეოთხე საფეხურზე დგანან და თუკი ამ ადგილზე დარჩნენ, გარკვეული ვარიანტის შემთხვევაში, შესაძლოა, ევროპა ლიგის საგზურსაც გამოკრან „ფეხი“ — თუკი, თბილისის „დინამო“ სამეულში დარჩა და ქვეყნის თასს დაეუფლა.

ძალიან დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა „ქართული კლასიკო“. დასაწყისში ქუთაისელები იგებდნენ, შემდეგ დინამოელები. ქუთათურებმა ვახტანგ კვარაცხელიას გოლით გაათანაბრეს, მაგრამ დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ჯაბა ჯიღაურმა გამარჯვებისა მაინც გაიტანა და „დინამოს“ საჩემპიონო შანსები შეუნარჩუნა.

მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა „სამტრედიამ.“ ზაზა ზამთარაძის შეგირდები გრიგალაშვილის გოლით იგებდნენ, მაგრამ მერე ფოთელებმაც შეაგდეს. მასპინძლებს კი მეტისთვის ძალა აღარ ეყოთ. ამისდაკვალად, როგორც ჩანს, სამტრედიელებს სამეულში მოხვედრა გაუჭირდებათ და ევროზონაში მოსახვედრად ქვეყნის თასის მოგება დასჭირდებათ. შეგახსენებთ, რომ 26 მაისს ფინალში სამტრედიელები თბილისის „დინამოს“ შეხვდებიან.

დაფიქსირდა ორი დუბლი: ლანჩხუთელმა ვილი ისიანმა „ზუგდიდს,“ ბოლნისელმა ჯაბა უგულავამ კი „ცხინვალს,“ ორ-ორჯერ გაუტანეს.

9 მაისს კი სეზონის ერთ-ერთი მთავარი მატჩი გველის: ბათუმის „დინამო“ ქობულეთში თბილისელ თანაკლუბელებს უმასპინძლებს და ამის შემდეგ ცხრილში ბევრი რამ გაირკვევა. საწყენია, რომ დისკვალიფიკაციის გამო შეხვედრა სიჩუმეში, ცარიელი ტრიბუნების ფონზე ჩაივლის.

ლიდერთა ჯგუფი: „დილა“ — 54, „ბათუმი“ — 51, „დინამო“ — 50, „ცხინვალი“ — 45 ქულა.

გიორგი შოთაძე

◎ მძლეოსნობა

WINGS FOR LIFE WORLD RUN: მეორედ საქართველოში!

კახეთში, ლოპოტის გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით, უკვე მეორედ გაიმართა ყველაზე მასშტაბური საქველმოქმედო სპორტული ღონისძიება Wings for Life World Run, რომელშიც 5 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის 600-ზე მეტი უცხოელი 35 ქვეყნიდან!

წლევანდელი რბენა, რომლის მხარდამჭერი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო გახლდათ (თბილისის მერიასთან ერთად), ვაჟთა შორის შარშანდელმა გამარჯვებულმა, ლაგოდეხელმა ალექსანდრ ოლეინიკოვმა

მოიგო — მან 57,39 კილომეტრი დაფარა, ქალთა შორის კი პირველი ჰოლანდიელი სტუმარი ლინდა ვან ფლიტი გახლდათ — 32,01კმ!

„ამ გამარჯვებას ლაგოდეხელებს, ჩემს მეგობრებს, დღევანდელი რბენის მონაწილეებს და მამაჩემის ხსოვნას ვუძღვნი!“ — განაცხადა ალექსანდრ ოლეინიკოვმა. კვირას მან 5 კილომეტრით გააუმჯობესა შარშანდელი შედეგი. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო რბენის გამარჯვებულებს — ვაჟი და გოგონა — უფლება აქვთ თავად აირჩიონ ის ქვეყანა, სადაც ერთი წლის შემდეგ ირბენენ. ჰოლანდიელი ლინდა ვან ფლიტი სწორედ ამ უფლებით ეწვია საქართველოს.

Wings for Life World Run-ის უნიკალურობა ისაა, რომ არაა განსაზღვრული ტრასის მანძილი და დრო. სხვანაირად რომ ვთქვათ, არ არსებობს ფინიშის ხაზი. ტრადიციული ფინიშის ნაცვლად მოძრაობს ეგრეთ წოდებული „ფინიშ მანქანა“, რომელიც სტარტიდან 30 წუთში იწყებს სვლას და წინასწარ დადგენილი სიჩქარით 15კმ/სთ-ით მოძრაობს, მოგვიანებით კი, გარკვეული მანძილის შემდეგ, სიჩქარე 20, შემდეგ კი 25 კმ/სთ-მდე იზრდება. როგორც კი „ფინიშ მანქანა“ მორბენალს გადაუსწრებს, მისი დრო ფიქსირდება და ის ავტომატურად ეთიშება შეჯიბრს.

ბეჭან დოლიძე

◎ ძიუდო

ლაშა კვარცხლბეკზე დაბრუნდა

ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში დასრულებულ ძიუდოისტთა გრან პრიზე საქართველოს ნაკრებმა ერთი მედალი მოიპოვა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) ტურნირი წაუგებლად დაასრულა და „ოქრო“ მოიგო.

ქართველი ძიუდოისტი განთესილ მონაწილეთა შორისაც ვერ მოხვდა, მაგრამ ყველა განთესილს და განუთესავს აჯობა — ექვსი შეხვედრა ჩაატარა, ექვსივეში გაიმარჯვა და ოქროს მედალთან ერთად 300 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

ალბანელი იგლი რამოსაცაჟი წუთსა და 56 წამში გააკრა ტატამს, ჰოლანდიელი სემ ვან ვესტენდი — წუთსა და 36 წამში, მერვედფინალში გრან პრიზე პირველ ნომრად განთესილ არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრების წევრ ვიქტორ სკვორცოვს მე-5 წუთზე შესრულებული იუკოთი სძლია.

უკრაინელი არტემ ხომულა წუთსა და 24 წამში დასცა ბეჭებზე, ნახევარფინალში ფრანგ პიერ დუპრასაც იპონით გაუსწორდა, 3 წუთსა და 5 წამში. გადამწყვეტ ბრძოლაში კი მონღოლ ცაგაანბაატარ ჰაშბაატარს ოთხწუთნახევარში ორჯერ აუღო ვაზარი.

ნაკრების სხვა ძიუდოისტებიდან ყველაზე შორს ზებედა რეხვიაშვილი (81 კგ) და თორნიკე თათარაშვილი (66 კგ) წავიდნენ. რეხვიაშვილი მე-5, ხოლო თათარაშვილი მე-7 ადგილზე გავიდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ხელბურთი

ელიტამდე ჯერ შორია

საქართველოს ნაკრებმა დაასრულა ასპარეზობა ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. გუნდი ლუქსემბურგში 20:29 დამარცხდა და პირველობის თეორიული შანსიც დაკარგა.

საქართველოს ნაკრები ჯერაც პირველ ადგილზეა და არის ვარიანტი, რომ ლუქსემბურგ-ესტონეთის ორი მატჩის შემდეგ სამივე გუნდმა 4-4 ქულა დააგროვოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ბურთების სხვაობა უარყოფითი გვექნება. ფლეიოფში გამსვლელი გუნდის ვინაობას ჩვენი მეტოქეები, ლუქსემბურგი და ესტონეთი ერთმანეთში, 10 და 13 ივნისს გაარკვევენ.

სამი ლიდერის არყოფნას დაემატა ირაკლი ჩიქოვანის ტრავმა. მან ქუთაისში პირველი მატჩის პირველი ტაიმის ბოლოს თითზე მყესი გაიწყვიტა და ასე ითამაშა მატჩის ბოლომდე. ის მოედანზე იყო ლუქსემბურგშიც, მაგრამ პირველ ტაიმში საერთოდ არ დაურტყამს, ძირითადად გამთამაშებლად ირჯებოდა, ლუქსემბურგელებმა კი დაიმატეს იან ჰოფმანი, რომელმაც 7 გოლი გაგვიტანა.

პირველ ტაიმში ბრძოლა იყო და სულ 1 ბურთით წავაგეთ, მაგრამ მეორეში დავუშვით ბევრი საკუთარი შეცდომა, მათ შორის, რიცხობრივი მეტობისას და მეტოქე სწრაფად დაწინაურდა. ერთადერთი, ვისი გამოყოფაც შეიძლება, იყო ლექსო წითელიშვილი, რომლის 11 დარტყმიდან რვამ მიზანს მიაღწია.

საქართველოს ნაკრები 2015 წლის შემოდგომაზე მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

„ოქროს შტატელებმა“ „დათვები“ დაამარცხეს, დედაქალაქელებმა ჯორჯიაში იმარჯვეს

გუშინ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კონფერენციების ნახევარფინალური მატჩების პირველი შეხვედრები გაიმართა.



„ატლანტა ჰოუქსი“ ჯორჯიაში „ვაშინგტონ ვიზარდსს“ დაუპირისპირდა. „ქორებმა“ პირველი მეოთხედი 11 ქულით მოიგეს, თუმცა მომდევნო სამ პერიოდში დედაქალაქელებმა იმარჯვეს და საბოლოოდ მასპინძლები 98:104 დამარცხდნენ. „ვაშინგტონი“ სერიაში 1:0 დაწინაურდა. „ვიზარდსს“ 28 ქულით ბილმა ულიდერა, რომელმაც მატჩში კოჭის ტრავმა მიიღო. „ატლანტაში“ 24 ქულით ქეროლი გამოირჩა. სერიის მომდევნო მატჩი ისევ ჯორჯიაში გაიმართება 6 მაისს.

„გოლდენ სტეიტი“ შინ „მემფისს“ შეხვდა. ოკლენდელებმა მატჩის პირველი სამი პერიოდი დამაჯერებლად მოიგეს, ხოლო დასკვნითი მეოთხე პერიოდი ფორმალობაღა იყო. საბოლოოდ „გოლდენ სტეიტმა“ 101:86 იმარჯვა. „ოქროს შტატელებს“ 22 ქულით სტეფ კარიმ ულიდერა. „დათვებში“ 21 ქულით და 9 მოხსნით მარკ გასოლი გამოირჩა. სერიის მეორე მატჩი 6 მაისს ოკლენდში გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კრივი

რეკორდის ზღურბლთან

„საუკუნის ბრძოლად“ მონათლული შეხვედრა ამერიკელ ფლოიდ მეივეზერსა და ფილიპინელ მენი პაკიაოს შორის ლას-ვეგასში გაიმართა.

ლას-ვეგასში მოწყობილი 12-რაუნდიანი შოუს დასრულების შემდეგ მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს უპირატესობა რანგის მასპინძელს, რომელიც ყველა ვერსიით უმაღლესი ტიტულის მფლობელია.



მან პროფესიონალთა შორის 48-დან ყველა ჩხუბში გაიმარჯვა და მჭიდროდ მიუახლოვდა ლეგენდარული როკი მარჩიანოს რეკორდს — 49-დან 49!

დავძენთ, რომ მეივეზერი მორიგ სანახაობას სექტემბერში გეგმავს.

როსტომ რაჭველიშვილი



გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მთელ მსოფლიოში ცნობილი კინორეჟისორი, დიდი მამულიშვილი, მრავალი კეთილი ქართული საქმის მოთავე

რეზო ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებს როგორც განსვენებულის ოჯახს, ისე მთელ ქართველ საზოგადოებრიობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ჭეშმარიტი ხელოვანის, ქართული კინოს კლასიკოსის, მსოფლიოში აღიარებული კინორეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის, მრავალი სახელმწიფო ჯილდოსა და საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატის, ღვაწლმოსილი მამულიშვილის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ერთობის დარბაზის დამფუძნებლის, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის

რეზო ჩხეიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გერმანიიდან ფრიად სამწუხარო ცნობა მივიღეთ. იქ, გათხოვილ ქალიშვილთან სტუმრად ყოფნისას, მძიმე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი

მედეა კახიძე

ერთ-ერთ ბოლო ლექსში, რომელიც მან რედაქციას გამოუგზავნა, ასეთი სტრიქონებია:

სურვილი ნელ-ნელა გამიზეზდა,
სიზმრებმა ამიჩემეს სამიზნებლად,
სუნთქვა მეხამრიდად დაიძვრება,
იალქნიანი ღრუბელი გამიძღვება,
რომ იქ დავუწყო აპრილს ძებნა,
საქართველოში მწადს გაღვიძება!

მაგრამ ბედის უკულმართობამ თავის საყვარელ სამშობლოში არ აღირსა ჩინებულ პოეტს გაღვიძება. მისი ნათელი ხსოვნა და ნატიფი ლექსი კი მუდამ იცოცხლებს მადლიერი ქართველი მკითხველის გულში.

ბორჯომსა და ქუთაისში მტკვრისა და რიონის დონე დაიწევს

4 და 5 მაისს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ჰიდროენერგო დეპარტამენტი ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალზე გეგმურ სამუშაოებს განახორციელებს.

მოხდება კაშხლის გარეცხვა, რაც მიზნად ისახავს კაშხლის დაგროვილი ნაგვისა და ნატანის გატანა-გაწმენდას. აღნიშნული სამუშაოები განხორციელდება ყველა უსაფრთხო ნორმის დაცვით. სამუშაოები შეთანხმებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან, გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან.

მათივე ინფორმაციით, ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის გარეცხვითი სამუშაოები გაგრძელდება 2 დღე. ამ დროის მანძილზე ჰიდროელექტროსადგური იქნება დროებით გაჩერებული, ხოლო ბორჯომში მდინარე მტკვარში წყლის დონე დაიწევს და დაუბრუნდება ბუნებრივ ნიშნულს. სამუშაოების წარმოება არ გამოიწვევს ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვას.

როგორც „ენერგო-პროში“ აცხადებენ, 6 მაისიდან 8 მაისის ჩათვლით 3 დღის განმავლობაში დაგეგმილია გუმათი I, გუმათი II და რიონის ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავების გეგმური გარეცხვაც. ამ პერიოდში, მდინარე რიონის წყლის დონე ქუთაისში დაიწევს და დაუბრუნდება ბუნებრივ ნიშნულს.

განცხადება

სს „ტრანსმშენი“ ატარებს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2015 წლის 25 მაისს დღის 11 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №2, მესამე სართული.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2015 წლის 4 მაისი.

დღის წესრიგი:

1. 2014 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
2. 2015 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
3. წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
5. სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების შესახებ;
6. სხვადასხვა.

აქციონერებს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების შეომწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — სს „კავკასრეესტრში“, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №74ა, ტელ: 2-220 749; 2-251 876.

სს „ტრანსმშენის“
მმართველი დირექტორი თამაზ კოტიშაძე

და ლიანა ვეფხვაძე, დისწულები ზვიად, თემურ ბლიაძეები, რძლები, შვილიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ვაჟა გრიგოლის ძე ვეფხვაძე

დაკრძალვა ქ. ხაშური ვეფხვაძეების უბანი, 7 V, 14 სთ. პანაშვიდი 5, 6 V, 17 სთ.

ჯუმბერ, ვახტანგ, თემურ ვეფხვაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის

ვაჟა ვეფხვაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კოლეგები ლალი კობახიძე, ლია მაღრაძე, მთვარისა კერესელიძე, მედეა ქართველიშვილი, გურამ გოგიაშვილი, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი, რუსლან რუსია, ალეკო ასლანიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ვერა გიუნაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

გახსენება

ნინო თომაძე

ნინო თომაძე დაიბადა 1962 წლის 13 ივნისს თბილისში, ცნობილი პოლიგრაფისტის, კულტურის დამსახურებული მუშაკის თენგიზ თომაძის ოჯახში.

დაამთავრა თბილისის 147-ე საშუალო სკოლა, 1981 წ. მუშაობა დაიწყო გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციაში ჟურნალისტად რედაქციებზე გამანადგურებელ დარტყმამდე, როცა ნაცების ხელისუფლებამ 2007 წლის 10 აგვისტოს გამომცემლობა „სამშობლო“ დაარბია და ათობით რედაქცია ქუჩაში გამოყარა.

ქალბატონი ნინო არაჩვეულებრივი ოჯახის დიასახლისი, შესანიშნავი დედა და ბებია იყო. ჰყავს სამი შვილი: ორი გოგო და ერთი ვაჟი, შვილიშვილები — 7 წლის მარიამი და 5 წლის დაჩი.

სანათესაომ, სამეგობრომ და სამეზობლომ მისი სახით დაკარგა შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე, რის გამოც აგერ უკვე ორმოცი დღეა, ღრმა მწუხარებას განიცდის ყველა, ვინც მას იცნობდა.

ნათესავები, მეგობრები, მეზობლები

მეუღლე ციცინო ჭაბაშვილი, შვილები ნაირა, ქეთინო, თამილა ჭაბაშვილები, სიძეები რამაზ ხეცურიანი, კუსა დოლიძე, ოლივიე მილიშერი, შვილიშვილები ლევან, თინათინ ხეცურიანები, სოფიკო კრავეიშვილი, რძალი ნატუკა ქარქაშაძე, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარლენ ჭაბაშვილი

პანაშვიდი 5, 6 V, 17 სთ. ბახტრიონის (ფანასკერტელის) I კორპუსი, III სადარბაზო, ბინა 45. დაკრძალვა 7 V, 15 სთ. გამოსვენება სამედიცინო უნივერსიტეტის მარიამ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიიდან.

თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ნაირა და რამაზ ხეცურიანებს მამისა და სიმამრის, გამორჩეული პიროვნების

მარლენ ნასყიდას ძე ჭაბაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზაურ, ნელი ფხალაძეები სამძიმარს უცხადებენ ნაირა და რამაზ ხეცურიანებს მამისა და სიმამრის

მარლენ ნასყიდას ძე ჭაბაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თემურ, ანიკო კუჭუხიძეები სამძიმარს უცხადებენ ნაირა და რამაზ ხეცურიანებს მამისა და სიმამრის

მარლენ ნასყიდას ძე ჭაბაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია თანაგრძნობას უცხადებს აკადემიის პრეზიდენტს რამაზ ხეცურიანს სიმამრის

მარლენ ჭაბაშვილის

გარდაცვალების გამო.

ინფორმაცია

ცხენს ვერ ერეოდნენ და უნაგირს ამტვრევდნენო...

კვირას, გვიან ღამით საპარლამენტო უმცირესობის წევრის ნუგზარ წიკლაურის მძღოლი სცემეს. როგორც „რუსთავი-2“ იუწყება, ინციდენტი ნაციონალური მოძრაობის წევრის საცხოვრებელ სახლთან მოხდა.

თავად წიკლაურის თქმით, მის მძღოლს ფიზიკურად უცნობი პირები მაშინ გაუსწორდნენ, როცა თავად სახლში იმყოფებოდა.

მისივე განმარტებით, ბაჩო კერმისაშვილმა მათგან თავის დაღწევა მოახერხა და შემთხვევის ადგილი მანქანით დატოვა, თუმცა, თავდამსხმელები დაედევნენ.

დეპუტატის მძღოლს დაზიანებები სახის არეში აქვს მიყენებული. იგი დილმის პოლიციაში დაკითხეს.

„სახლთან მისულს, სადარბაზოსთან, კვლავ დამხვდა 4-5 ადამიანი. მას შემდეგ, რაც გამოვიძახე ლიფტი და სახლში ავედი, ჩემს მძღოლს დაესხნენ თავს. კარგად გვახსოვს, ერთი წლის წინ, ზუსტად ამ ადგილას მე როგორ დამესხნენ თავს და ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა, რომ ეს საქმე ყოფილიყო გამოძიებული. მაშინ, რომ საქმე გამოძიებულიყო და ის ადამიანები დასჯილიყვნენ, რომლებიც ასე უსაფრდებიან ადამიანებს სადარბაზოსთან, მსგავსი ფაქტები აღარ მოხდებოდა“, — განაცხადა წიკლაურმა.

ადვოკატ გოგა ონიანის განცხადებით კი, მომხდარზე გამოძიება დაწყებულია.

„დაიწყო გამოძიება. არის კამერები, სადაც დაფიქსირებული უნდა იყოს იმ ავტომობილის ნომერი, რომელიც ნუგზარ წიკლაურის მძღოლს დაედევნა და თუ შსს მოინდომებს, მას არ უნდა გაუჭირდეს ამ პირების მოძებნა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ, როგორც წინა შემთხვევაში, ამის ნება არც ახლა იქნება“, — აღნიშნა ონიანმა.

თბილისში ჯორჯ ბუშის ბანერი დააზიანეს

თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ბანერი დააზიანეს. პრეზიდენტის სახე და ინგლისურენოვანი წარწერა შავი საღებავით არის შეღებილი.

როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, უახლოეს დღეებში იმავე ადგილას ახალი ბანერი განთავსდება.

„არსებული ბანერის შეკეთება ან ახლის დამზადება დღეიდან დაიწყება და მას მიმდინარე კვირაშივე პირველადი სახე დაუბრუნდება. რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, ჩვენ ვგმობთ აღნიშნულ საქციელს და ვფიქრობთ, რომ ბანერები ასე არ უნდა ზიანდებოდეს“, — განაცხადა თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ლევან ნაროუშვილმა.

◎ იუბილე

რვა ათეულიც უძლურია, როცა სული ჭაბუკობს და გონება ფხიზლად არის!

ჟურნალისტი გურამ ვაშაკიძე – 80

წლები მიფრინავენ და თავიანთი გაუღუნავი ფრთებით ჩვენც ხანდაზმულობისკენ მიგვაფრენენ. ბევრს, სამწუხაროდ, აუძლურებენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ბევრიც წლებს ჯიუტად არ ეპუება და ცხოვრების ყოველდღიური ფერხულიდან არ გადის.

სწორედ ასეთი წლებმოურეველია ჩვენი მეგობარი და ძვირფასი კოლეგა, კაცობაში ჩაუჭრელი გურამ ვაშაკიძე, რომელიც განათლებით ისტორიკოსია, 1958 წელს თბილისის უნივერსიტეტდამთავრებული, ხოლო მოწოდებით სიტყვამადლიანი ჟურნალისტი: იგი წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთების „ზარია ვოსტოკას“, „კომუნისტის“, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციების საკუთარ კორესპონდენტად შიდა ქართლში.

გურამ ვაშაკიძე, თამამად შეიძლება თქმა, ჩვენი თანამედროვე ცხოვრების უტყუარი მემატიანეა. მკითხველს უთუოდ ახსოვს გურამის მახვილი თვალით, გამჭრიახი გონებითა და მჭრელი კალმით შექმნილი არაერთი ნარკვევი, წერილი, რეპორტაჟი.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, კვლავაც ამჟამინდელი ჭაბუკური შემართება ვუსურვოთ ჩვენს ძვირფას, უღალატო მეგობარს, რომელიც მუდამ წარმატებით ახერხებდა კარგი ჟურნალისტობისა და კარგი ადამიანობის შემოქმედებით შერწყმას. ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი კვლავაც მართალი, წამალივით ხან მწარე, მაგრამ ადამიანების სამკურნალოდ უებარი სიტყვის მსახურად დარჩება, რაც აგრერიგად ეჭირვება ჩვენს ჯერჯერობით ფუჭი თავისუფლების „ტყვე“ ცხოვრებას..

იცოცხლე და იჯანსაღე, ძვირფასო გურამ, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად, შენს გვარში ჩასმული ვაშა იმის საწინდარი გვგონია, რომ საუკუნემდე დარჩენილ ოც წელიწადსაც ვაშად მოღუნავ.

მაშ, ვაშა, მეგობარო, ვაშა!

ალალი გულით შენი კოლეგები „საქართველოს რესპუბლიკიდან“

◎ ზურაბ წერეთელმა აჩუქა...

პასტერნაკის ძეგლი მზადაა, მაგრამ მოსკოვში მისი დადგმა შეუძლებელია

ასობით მკითხველი გამოეხმაურა „ლიტერატურნაია გაზეტას“ მოწოდებას დედაქალაქში პოეტ ბორის პასტერნაკის ძეგლის დადგმის შესახებ. მით უმეტეს, რომ მოსკოვში სხვა რუსი ნობელის პრემიის ლაურეატების ხსოვნა უზრუნველყოფილია (არის ბუნინის, შოლოხოვის, ბროდსკის ძეგლები).

მაგრამ, როგორც გამოირკვა, ჯერ კიდევ 2013 წლის აგვისტოში – პოეტის 125 წლამდე ორი წლით ადრე – მოსკოვის მერს მიმართა რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის მთავარმა სამეცნიერო მდივანმა ო. კოშკინმა და აცნობა კონკურსის შესახებ, რომელიც მოსკოვის კომარ-

ქიტექტურამ მოსკოვის მხატვართა და არქიტექტორთა კავშირებთან ერთად მოაწყო მოსკოვის მთვარობის 2009 წლის 17 მარტის განკარგულების „მოსკოვში პოეტ ბ. ლ. პასტერნაკის ძეგლის გახსნის შესახებ“ შესაბამისად. ქალაქის უფროსი ინფორმირებული იყო, რომ შემოქმედებითი შეჯიბრების შედეგად, რომელიც ორ ტურად გაიმართა, **ზ. კ. წერეთლის პროექტმა გაიმარჯვა, რომელმაც გამოთქვა სურვილი, უსასყიდლოდ გადასცეს იგი ქალაქს.**

როგორც ვხედავთ, პასტერნაკი არ დავიწყებიათ და ადგილიც კი შეარჩიეს ძეგლისთვის, რომელიც შეიძლებოდა განთავსებულიყო ვოლხონკაზე.

საუბედურო, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის ზ. კ. წერეთლის პასუხიდან, რომლის თარიღიც 2013 წლის 22 ოქტომბერია, ირკვევა, რომ წინადადების მხარდაჭერა ძეგლის აგების შესახებ „შეუძლებელია სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო“ მისი რეალიზაციისათვის. და, მართალია, ძეგლის იდეას მხარი დაუჭირა მოსკოვის საქალაქო დუმასთან არსებულმა მონუმუნტური ხელოვნების კომისიამ, კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პირველმა მოადგილემ ე. პრონიჩევამ გვაცნობა, რომ „უახლოეს წლებში არ არის გათვალისწინებული სახსრების გამოყოფა იმ ძეგლების დაპროექტებისა და მშენებლობისთვის“, რომლებიც არ შესულა ქალაქ მოსკოვის საადრესო საინვესტიციო პროგრამაში.

ძეგლი არის: შეხედეთ, რა შესანიშნავად და ორიგინალურად გამოჩნდება იგი ვოლხონკაზე. **მოქანდაკე წერეთლის მიერ მისი მოსკოვისათვის ჩუქების იდეა არის. ბორის ლეონიდის ძე კი ბრინჯაოში კვლავ არაა უკვდავყოფილი...**

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია დავუბრუნდეთ იდეას ძეგლის დადგმის შესახებ ბორის პასტერნაკისაც და დიდი რუსი კომპოზიტორის გიორგი სვირიდოვისთვისაც (წელს მისი დაბადების 100 წელი სრულდება). მით უმეტეს, რომ ჩვენი მკითხველები აქტიურად უჭერენ მხარს ამ იდეას.

„ლიტერატურნაია გაზეტა“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **ძვირფასო**, ნუთუ ადამიანი მართლაც მაიმუნისგან წარმოიშვა? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— კი, საყვარელო. მაგრამ შენ ყველაზე სიმპათიური მაიმუნისგან წარმოიშვი!

* * *

და დაჰპირდა ღმერთი მამაკაცებს, რომ ლამაზ, კეთილ და ჭკვიან ქალებს კაცი ყოველ კუთხეში იპოვიდა. და შექმნა დედამიწა მრგვალად.

* * *

ჩვენ ვისწავლეთ ჰაერში ჩიტებივით ფრენა. ჩვენ ვისწავლეთ ოკეანეში თევზებივით ცურვა. ახლა ისღა დაგვრჩა, რომ ვისწავლოთ დედამიწაზე ადამიანებივით ცხოვრება.

* * *

მიდის მოხუცი ქალი წყაროზე წყლისთვის. ხედავს, რომ მოხუცმა კაცმა ვედრო წყლით აავსო, მერე სავსე ჭურჭელი თავის მამაკაცურ ღირსებაზე ჩამოიკიდა და სახლისკენ გაეშურა.

— მეზობელო, შენ რა, გაგიჟდი? — ეკითხება გაოგნებული ქალი.

— რა ვქნა, დავბერდი, ჩემო კეთილო, ხელები არ მემორჩილება...

დედამიწის ზურგზე



„ელვისებური მანგუსტი – 2015“: ნორვეგიაში ნატოს ნავსაწინააღმდეგო სწავლება დაიწყო. მონაწილეობს შვედეთიც, რომელიც ალიანსში არ შედის

მანევრებში, რომლებიც გაგრძელდება 14 მაისამდე, მონაწილეობას ღებულობს ათი ქვეყანა და 5 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. ღონისძიებებში ამოქმედებულია საზღვაო და საჰაერო ხომალდები, აგრეთვე სუბმარინები – მთლიანად 20 ერთეულზე მეტი ტექნიკა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების გამოფენასთან მოხდა შეტაკება, პოლიციელებმა ორი თავდამსხმელი მოკლეს

წინასწარი ინფორმაციით, უცნობები გამოფენასთან მივიდნენ ავტომობილით და გახსნეს ცეცხლი. პოლიციელებმა დაიწყეს საპასუხო სროლა, დახოცეს დამნაშავეები.

მსოფლიოში ცნობილმა ნეიროქირურგმა ბენ კარსონმა დაიწყო ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტისთვის

2009 წელს მის შესახებ ჰოლივუდში გადაიღეს ფილმი „ოქროს ხელები“. სურათში საუბარია რეალურ ისტორიაზე იმის შესახებ, თუ შავკანიანმა ბიჭმა ღარიბი ოჯახიდან წიგნის კითხვისადმი და სწავლისადმი თავისი



სიყვარულის წყალობით როგორ დაამთავრა იელის უნივერსიტეტი და მიჩიგანის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა, რის შემდეგაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

დონეცკი და მისი მიდამოები კვლავ სროლის ქვეშაა, გასული დღე-ღამის განმავლობაში ორი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა

უკრაინელი სამხედროები და სეპარატისტები ერთმანეთს სდებენ ბრალს უკანასკნელი დღე-ღამეების განმავლობაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეჟიმის დარღვევაში. შერიგებამ მოქმედება დაიწყო უკრაინის აღმოსავლეთში 15 თებერვალს.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24